სპეციალური მოსარჩელე
პრაქტიკის მიმოხილვა

იანვარი, 2021

კვლევა მომზადებულია **სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის** (OHCHR) მიერ **მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის** (SDG Fund) მხარდაჭერით მიმდინარე გაერთიანებული ერების ერთობლივი პროგრამის **სოციალური დაცვის სისტემის ტრანსფორმაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის საქართველოში** ფარგლებში.

მასში მოცემული მოსაზრებები ავტორისეულია და ის შესაძლოა არ ასახავდეს **სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის** და **გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ფონდის** შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 4

I Actio popularis **გამოყენების პრაქტიკა/მაგალითები ევროპაში** 5

ქვეყნები actio popularis გამოყენების პრაქტიკით 6

ქვეყნები actio popularis მწირი პრაქტიკით 18

II Actio popularis **გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორები** 24

III **ძირითადი მიგნებები** 31

შესავალი

2020 წლის 14 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ". ამ კანონით სამართლებრივ სივრცეში შემოვიდა ახალი სუბიექტი „სპეციალური მოსარჩელე",[1] რომელიც გულისხმობს შესაბამისი ორგანიზაციის მიერ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვას ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში კანონიერი წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების გარეშე.

აღნიშნული მექანიზმი ქართული სამართლებრივი სისტემისთვის ახალია, თუმცა რამდენიმე ქვეყანაში არსებობს მისი მრავალწლიანი გამოყენების გამოცდილება სისტემურ პრობლემებთან საბრძოლველად. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაანალიზება. იმ ტიპის სარჩელების აღსანიშნავად, რომელიც საჯარო ინტერესს გამოხატავს და არ მოითხოვს ინდივიდუალურ მსხვერპლს, სხვადასხვა ტერმინს გამოიყენებენ, თუმცა ერთ-ერთი ყველაზე ძველი და დამკვიდრებული ტერმინია actio popularis, შესაბამისად, ამ კვლევის მიზნებისთვისაც ეს ტერმინი იქნება გამოყენებული.

Actio popularis რეგულირება და პრაქტიკაში გამოყენება განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. რიგ ქვეყნებში მას დაფარვის უფრო ფართო სპექტრი აქვს, მაშინ როდესაც არის ვიწრო ფოკუსის მქონე ქვეყნების მაგალითებიც. ამას გარდა, მისი გამოყენება უმეტეს შემთხვევებში შესაძლებელია სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, რამდენიმე ქვეყანაში კი, სისხლის სამართლის საქმეების კუთხითაც. ადრესატები სასამართლოს გარდა შესაძლოა იყვნენ ადმინისტრაციული და თანასწორობის ორგანოები. თავად თანასწორობის ორგანოებსაც აქვთ მსგავსი ტიპის სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. სასარჩელო მოთხოვნის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს, როგორც დისკრიმინაციული ქცევის შეწყვეტა ან თავის შეკავება, ასევე აქტების კანონიერების დადგენა. ამ კვლევის მიზნებიდან გამომდინარე აქცენტი გაკეთებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ორგანოებში მიმართვის პრაქტიკაზე.

კვლევის ფარგლებში შეირჩა ის ქვეყნები, სადაც actio popularis გამოყენება კანონმდებლობით არის დაშვებული დისკრიმინაციის საქმეებზე, (არამხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით) და უკვე არსებობს საინტერესო პრეცედენტები. ამას გარდა, ვინაიდან კონკრეტული საქმეების გარდა საკანონმდებლო რეგულირებაც შესაძლოა საინტერესო იყოს, კვლევის ერთ-ერთი ქვეთავი ეთმობა იმ ქვეყნებს, სადაც საკანონმდებლო ჩარჩოს მიუხედავად, ეს მექანიზმი არ გამოიყენება. ვფიქრობთ, მსგავსი მაგალითები სხვა თავებში მიმოხილულ ინფორმაციასთან ერთობლიობაში იძლევა გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

კვლევა შედგება რამდენიმე თავისგან.

პირველ თავში მიმოხილულია იმ ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა სადაც აქტიურად გამოიყენება მსგავსი ტიპის სარჩელები. იმის გათვალისწინებით, რომ ექსკლუზიურად შეზღუდული

[1] საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ," მუხლი 19.

შესაძლებლობის საფუძველზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიზნით, არსებული ინსტიტუტის გამოყენება და შესაბამისად პრაქტიკაც მწირია, ყურადღება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად წარდგენილ სარჩელებზე არ არის გამახვილებული. აღნიშნული თავი ასევე მიმოიხილავს იმ სახელმწიფოებს, სადაც მართალია კანონმდებლობით დაშვებულია სჯარო ინტერესის სამართალწარმოება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, მაგრამ პრაქტიკა არ არსებობს, ან მწირია.

მეორე თავი ეძღვნება იმ გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია actio popularis-ით საქმის წარმოებისას და რომელთა გათვალისწინებაც გვირჩევენ ექსპერტები და ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც ამ მხრივ აქვთ გამოცდილება.

კვლევის ***ბოლო თავში*** თავმოყრილია ძირითადი მიგნებები.

კვლევა ძირითადად ეყრდნობა საჯაროდ ხელმისაწვდომ ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს, ინფორმაციას ცალკეული საქმეების შესახებ და კანონმდებლობის ანალიზს. კვლევის ავტორის სურვილის მიუხედავად, ვერ მოხერხდა ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციების სრულყოფილი ინტერვიურება, თუმცა რამდენიმე მათგანმა კვლევისთვის მნიშვნელოვანი დაკვირვებები და მიგნებები მოგვაწოდა. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა ინფორმაციის დაზუსტებისა და შევსების მიზნით.

კვლევა ვერ ამოწურავს actio popularis-თან დაკავშირებულ ყველა დეტალსა და საქმეს, თუმცა ვიმედოვნებთ, რომ თავმოყრილი ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების წევრებს ამ მექანიზმით უკეთ გაცნობასა და ძირითადი ტენდეციების გაგებაში დაეხმარება.

I Actio popularis გამოყენების პრაქტიკა ევროპაში

შესავალი

აღნიშნული თავი იყოფა ორ ნაწილად. პირველი ქვეთავი ეთმობა იმ ქვეყნებს, სადაც actio popularis გამოიყენება დისკრიმინაციის საქმეებზე და არსებობს გარკვეული პრაქტიკა. ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო და გამოგასადეგია ინფორმაცია, როგორც წარმატებულ ასევე წარუმატებელ საქმეებზე.

მეორე ქვეთავში თავმოყრილია ინფორმაცია იმ ქვეყნების შესახებ, რომელთა კანონმდებლობაც მართალია ითვალისწინებს actio popularis გამოყენების შესაძლებლობას, მაგრამ ამ მხრივ პრაქტიკა არ არის, ან ძალიან მწირია. აღნიშნული კატეგორიის ქვეყნების შემთხვევაში საინტერესოა ის კრიტერიუმები, რასაც ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს ამ მექანიზმის გამოსაყენებლად და ფაქტორები, რომელიც განაპირობებს პრაქტიკის არარსებობას.

ქვეყნები actio popularis გამოყენების პრაქტიკით

უნგრეთი

როდესაც actio popularis-ზე და მის გამოყენებაზე ვსაუბრობთ, ყველაზე ხშირად უნგრეთის მაგალითები გვახსენდება. უნგრეთი ერთ-ერთი ის ქვეყანაა, სადაც წლებია არასამთავრობო ორგანიზაციები ამ ინსტრუმენტს ძალიან აქტიურად იყენებენ, განსაკუთრებით ბოშათა დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მიმოხილული სარჩელები უმეტესად ბოშათა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვას ეხება, უნგრეთში არსებული გამოცდილება რელევანტურია სხვა კატეგორიის საქმეებისთვისაც.

საკანონმდებლო რეგულირება და პროცედურული საკითხები

უნგრეთის თანაბარი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობის წახალისების აქტის მიხედვით, ასოციაციებს, ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ შეიტანონ სარჩელები, ასევე მიმართონ ადმინისტრაციულ ორგანოებს კონკრეტული მსხვერპლის გარეშე. ამისთვის საჭიროა რამდენიმე პირობის დაკმაყოფილება: ***თანაბარი მოპყრობის პრინციპის დარღვევა ან პირდაპირი რისკი, რომელიც ეფუძნება ინდივიდის არსებით მახასიათებელ ნიშანს*** და ***დარღვევა ან პირდაპირი საშიშროება უნდა შეეხებოდეს პირთა დიდ ჯგუფს, რომელთა ზუსტად დადგენა შეუძლებელია.***[2] ამ პირობებს მოგვიანებით ***პირდაპირი საშიშროება*** დაემატა, რათა კონკრეტული დარღვევის არარსებობის დროს არ გამორიცხულიყო actio popularisით სარგებლობის შესაძლებლობა.[3] რაც შეეხება, საკონსტიტუციო სასამართლოს, 2005 წელს ერთ-ერთ საქმეზე გაკეთებული განმარტების შედეგად, მსგავსი ინსტიტუტი აქ არ გამოიყენება.[4]

არასამთავრობო და ინტერესების წარმომადგენელ ორგანიზაციას კანონმდებელი განმარტავს[5] როგორც კანონის საფუძველზე დაფუძნებულ ორგანიზაციას, რომელიც წესდებით მიზნად ისახავს თანასწორი სოციალური შესაძლებლობის წახალისებას, ან მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. თუმცა ამასთან ერთად დაცული საფუძველი ან საფუძვლები უნდა იყოს დაკონკრეტებული წესდებაშივე. შესაბამისად, თუ ორგანიზაციას მითითებული აქვს, რომ მუშაობს ეთნიკური უმცირესობების თემატიკაზე, იგი ვერ შეძლებს actio popularis წარდგენას შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე დისკრიმინაციის კუთხით. თუმცა მსგავს შემთხვევებში გამონაკლისია ინტერსექციური დისკრიმინაციის შემთხვევები, როდესაც პირი დისკრიმინაციის მსხვერპლია ერთზე მეტი ნიშნით.

რამდენად ვიწროდ ან ფართოდ განმარტავს სასამართლო კანონს/ცვლილებას, ეს სასამართლო პრაქტიკამ უნდა აჩვენოს. ამას გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციად და ინტერესთა ჯგუფებად ითვლება ეროვნული უმცირესობების თვითმმართველობები და პროფესიული კავშირები რომლებიც

---

[2] Act CXXV of 2003 on Equal Treatment and Promotion of Equal Opportunities, მუხლი 20 (1)[36], ხელმისაწვდომია:https://bit.ly/3oejzDN.

[3] National Thematic Report, Hungary, European Union Agency for Fundamental Rights, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2Y9MUol.

[4] საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება, მოკლე აღწერილობა ხელმისაწვდომია აქ https://bit.ly/3oecfbo.

[5] Act CLXXV of 2011 on the Right to Assembly, Public Benefit Status and the Operation and Funding of Nongovernmental Organisation.

მუშაობენ თანამშრომლების ფინანსურ, სოციალურ, კულტურულ, საცხოვრებელ და სამუშაო პირობებზე.[6]

მტკიცების ტვირთის საკითხიც დარეგულირებულია თანაბარი მოპყრობისა და თანაბარი შესაძლებლობის წახალისების აქტით. კერძოდ, ამ შემთხვევაში actio popolaris-ის წარმდგენმა უნდა აჩვენოს, არასახარბიელო მოპყრობის პირდაპირი რისკი. მეორე მხარემ კი უნდა ამტკიცოს, რომ გარემოებები, რომელზეც მოსარჩელე მიუთითებს, როგორც შესაძლოზე, არ პრევალირებდა. [7]

Actio popularis გამოყენებისას მოსარჩელეს შეუძლია დააყენოს ყველა ის ***სასარჩელო მოთხოვნა*** რასაც დისკრიმინაციის სხვა საქმეებზე დააყენებდა, გარდა ზიანის მოთხოვნისა, ვინაიდან ითვლება, რომ სარჩელის ავტორ ორგანიზაციებს თავად არ განუცდიათ ზიანი. თუმცა უნგრეთში აქტიურად გამოიყენება საჯარო ინტერესის ჯარიმები, რომლის გადახდა ხდება სახელმწიფოს და არა მსხვერპლის სასარგებლოდ, რაც დადებითად არის შეფასებული. ექსპერტთა აზრით, მსგავსი ტიპის ჯარიმები ეფექტიანს ხდის სანქციების სისტემას, აჩვენებს რა ჩადენილი ქმედების სიმძიმეს მატერიალურ ფორმაში. და პროპორციულობას უწყობს ხელს. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ უნგრეთის ახალი სამოქალაქო კოდექსი მსგავსი ტიპის ჯარიმებს აღარ ითვალისწინებს.[8]

პრაქტიკა

პირველ და პრეცედენტულს საქმეს მრავალი მიზეზის გამო ე.წ. Karoly-ის საქმე წარმოადგენს, რომელიც ლგბტ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ შეიტანა სასულიერო დაწესებულების წინააღმდეგ, 2005 წელს. ორგანიზაციის მტკიცებით, სასულიერი დაწესებულების დოქტრინალური სწავლებებით ლგბტ პირებს შეიძლებოდა არ მისცემოდათ თეოლოგიური სწავლების შესაძლებლობა. ეს იყო თანასწორობის აქტის გამოყენების შემთხვევა, სადაც სასამართლომ იმსჯელა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ actio popularis წარდგენის შესაძლებლობა, ასევე სექსუალური ორიენტაცია, როგორც ადამიანის განუყოფელი პიროვნული მახასიათებელი, რომელიც ასეთი სარჩელის წარდგენის ერთ-ერთ წინაპირობაა.[9]

ეს საქმე მნიშვნელოვანია იმითაც, რომ სასამართლომ დაადგინა რომ actio popularis გამოყენება შესაძლებელია არამხოლოდ ისეთ საქმეებში სადაც თანასწორი მოპყრობის პრინციპი დარღვეულია, არამედ მაშინაც როდესაც ამ პრინციპის დარღვევის საფრთხეა. შეიძლება ითქვას, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობამ, ამ ინსტიტუტის პრაქტიკაში გამოყენებამ ამ ნორმის ფართო და უკეთესი განმარტების დანერგვა გამოიწვია.[10]

---

[6] Country report non-discrimination 2020, Hungary, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 154 ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/39dnkp1.

[7] Act CXXV of 2003 on Equal Treatment and Promotion of Equal Opportunities, მუხლი 19(1).

[8] Country report non-discrimination 2020, Hungary, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 99 ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/39dnkp1.

[9] Report on measures to combat discrimination, Country report Hungary 2012, European network of legal experts in the non-discrimination field, European Commission, გვ. 92, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3oep7hB.

[10] European Anti-discrimination Law Review, Issue #5, July 2007, the European Network of legal experts in non-discrimination field, გვ. 28, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3sSyRld.

როგორც აღინიშნა, უნგრეთის პრაქტიკიდან ბევრი საქმე ბოშათა სეგრეგაციას ეხება. მიზანშეწონილია ამ კუთხით ერთი საქმის გამოყოფა, რომელიც საინტერესოა არამხოლოდ იმით რომ სარჩელი დაკმაყოფილდა, არამედ სასამართლოს მიერ დაკისრებული ***სანქციებითაც.*** კერძოდ, მნიშვნელოვანი ***ცვლილების მომტანი*** გახდა *Kaposvár* საქმე, სადაც სასამართლომ დაადგინა არამხოლოდ სეგრეგაციის ფაქტი, არამედ ისიც, რომ სასამართლოს შეეძლო იმაზე მეტის გაკეთება, ვიდრე დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა. სასამართლომ განაცხადა, რომ მათ იმაზე მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე დარღვევის დეკლარირება და ზოგადად დისკრიმინაციის აღმოფხვრა. კერძოდ გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ სასამართლოს შეუძლია, კონკრეტული ღონისძიებების გატარება დაავალოს მხარეებს, რაც თანასწორობის პრინციპის იმპლემენტაციას მოემსახურება.[11] შესაბამისად, მოპასუხეს კონკრეტულად დაევალა არ მიეღო პირველ კლასელები 2017-2018 წელს სეგრეგირებულ კლასებში, ასევე შეემუშავებინა და გამოექვეყნებინა დესეგრეგაციის გეგმები.[12]

სასამართლოს მიერ არაპირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის ახალი და წარმატებული მაგალითია *European Roma Rights Center (ERRC)* ის საქმე, სადაც 2020 წლის აგვისტოში უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა წინა ინსტანციების გადაწყვეტილებები და დაადგინა, რომ მშობიარე ქალის თანმხლები პირის სპეციალური ტანსაცმელის საფასური[13] წარმოადგენდა იმ ბოშა დედების პირდაპირ დისკრიმინაციას, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ და ირიბ დისკრიმინაციას იმათ მიმართ, რომლებიც ხშირად იძულებულები არიან მარტომ გააჩინონ ბავშვი. ამ საქმეში მოპასუხეს დაეკისრა საჯარო ინტერესის ჯარიმის გადახდა (დაახლოებით, 5 600 ევრო) და ამ პრაქტიკის აღმოფხვრა. [14]

მტკიცებულებების კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ***სტატისტიკურ მონაცემებს.*** *Hajdúhadház* საქმეზე, მოსარჩელე - *Chance for Children Foundation* - ამტკიცებდა, რომ ორი სკოლა ახდენდა ბოშა ბავშვების სეგრეგაციასა და პირდაპირ დისკრიმინაციას. კერძოდ, ისინი სკოლის ყველაზე ცუდად აღჭურვილ შენობებში იყვნენ განთავსებულები. მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ დაავალა ექსპერტს შეესწავლა სიტუაცია და დაედგინა ბავშვთა გადანაწილების პროცენტულობა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში, ექსპერტის მიერ შემუშავებული ინფორმაცია ეჭქვეშ არ დაყენებულა.[15]

მტკიცებულებების და საჯარო ინტერესის ჯარიმებთან დაკავშირებით საინტერესოა ასევე *Chance for Children Foundation*-ის მორიგი საქმე, სადაც იგი განათლების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე[16] დაობდა, რომ განათლების სამინისტრომ ვერ შეძლო შესაბამისი სამოქმედო გეგმით დესეგრეგაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ იმის მიუხედავად, რომ საგანმანათლებლო ურთიერთობები საჯარო სამართლის სფეროს მიეკუთვნებოდა, სასამართლოს ჰქონდა უფლებამოსილება დაევალდებულებინა მოპასუხე

---

[11] Country report non-discrimination 2020, Hungary, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 98, ხელმისაწვდომია აქ:<https://bit.ly/39dnkp1.

[12] იქვე

[13] საუბარია ტანსაცმელზე რომლის ჩაცმაც პალატაში შეეძლო.

[14] რელიზი, ERRC, აგვისტო 2020, ხელმისაწვდომია აქ:http://bit.ly/3qOEJKE.

[15] Country report non-discrimination 2020, Hungary, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 30, ხელმისაწვდომია აქ:<https://bit.ly/39dnkp1.

[16] A comparative analysis of non-discrimination law in Europe, 2019, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 63, ხელმისაწვდომია აქ: <http://bit.ly/2YbyGDC.

შეეწყვიტა უკანონო ქმედება კონკრეტული ნაბიჯების გაწერით, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილი სკოლის დახურვისა და მოსწავლეების სხვა სკოლაში გადაყვანის, ინსპექტირების გაიდლაინების მოდიფიცირების, სეგრეგაციის გეგმის შედგებისა და ვებსაიტზე გამოქვეყნების ნაწილში არ მიიჩნია რეალისტურად და აღსრულებადად. უზენაესმა სასამართლომ ძალაში დატოვა დესეგრაგაციის გეგმის შემუშავება და საჯარო ინტერესის ჯარიმა, თუმცა ასევე თქვა, რომ ჯარიმის მიზნობრიობის განსაზღვრა მის კომპეტენციას სცილდებოდა მაშინ როდესაც მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს თანხა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დესეგრეგაციის გეგმების მონიტორინგს უნდა მოხმარებოდა.[17]

აღსრულებისა და სანქციების ეფექტიანობის მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი საქმე. 63-მა ყოფილმა მოსწავლემ იმ სკოლებიდან, სადაც actio popularis საფუძველზე დადგინდა სეგრეგაცია, წლების შემდეგ მოითხოვეს მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. აღნიშნული გადაწყვეტილება კარგი მაგალითია იმისა, რომ actio popularis წარმატებული საქმე კარგ და რეალურ ინსტრუმენტად შეიძლება იქნეს პრაქტიკაში გამოყენებული. სასამართლომ დაადგინა, რომ ზიანი მხოლოდ თანხით შეიძლებოდა ყოფილიყო კომპენსირებული და ტრენინგები და მსგავსი ტიპის ღონისძიებები ვერ იქნებოდა საკმარისი. ამ გადაწყვეტილებით მიჩნეულია, რომ სასამართლომ შეინარჩუნა სანქციების არსებული სისტემის ეფექტიანობა.[18]

და ბოლოს, საინტერესოა სარეკლამო განცხადებასთან დაკავშირებული საქმე, რომელიც გამორიცხავდა შავკანიან პირებს ფართის შესაძლო დამქირავებელთა სიიდან. არასამთავრობო ორგანიზაციის *NEKI* იმ actio popularis მეშვეობით გაასაჩივრა აღნიშნული განცხადება. პროცესის მსვლელობისას მოპასუხე კომპანია დათანხმდა საჯარო ბოდიში მოეხადა.[19]

სლოვაკეთი

სლოვაკეთში ამ დროისთვის actio popularis მეშვეობით ნაწარმოები მხოლოდ ერთი წარმატებით დასრულებული საქმეა, რამდენიმე კი მიმდინარე. ამ ინსტრუმენტს აქტიურად იყენებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია *Centre for Civil and Human Rights*, სარჩელები შეტანილი აქვს ასევე საერთაშორისო ორგანიზაციას *ERRC*.

საკანონმდებლო რეგულირება და პროცედურული საკითხები

ანტიდისკრიმინაციული კანონის მე-9 მუხლის თანახმად, სლოვაკეთის ადამიანის უფლებათა ეროვნულ ცენტრს ან იურიდიულ პირს, რომელსაც უშუალოდ ეხება ან აქტიურია დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლაში (ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა შესაძლებელია პროფესიულმა კავშირებმაც მიმართონ სასამართლოს) თუ თანასწორი მოპყრობის პრინციპის

[17] Country report non-discrimination 2020, Hungary, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 53, ხელმისაწვდომია აქ:<https://bit.ly/39dnkp1.

[18] მოკლე ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3o8F6Og.

[19] European Anti-discrimination Law Review, Issue #5, July 2007, the European Network of legal experts in non-discrimination field, გვ. 28. ხელმისაწვდომია აქ: https://www.migpolgroup.com/_old/public/docs/12.EuropeanAnti-discriminationLawReview_Issue5_EN_07.07.pdf

დარღვევას შეუძლია გამოიწვიოს მსხვილი (great) ან განუსაზღვრელ პირთა წრის კანონით დაცული უფლებების, თავისუფლებების ან ინტერესების შელახვა, ან თუ საჯარო ინტერესს შეიძლება სხვაგვარად არსებითად საფრთხე შეექმნას.

დისკრიმინაციის საქმეებში, ***სასარჩელო მოთხოვნების*** სია არ არის ამომწურავი, რაც ევროპულ კომისიას რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, დადებითად აქვს შეფასებული.[20] სუბიექტებს შეუძლიათ მოითხოვონ თანასწორი მოპყრობის დარღვევის დადგენა, ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავება და სადაც შესაძლებელია - უკანონო ქმედების გამოსწორება. ეს სია არ არის ამომწურავი და შეიძლება დაემატოს მაგალითად ფინანსური კომპენსაციაც, თუმცა ამაზე საჭირო იქნება დამატებით სასამართლოს განმარტება. ამ დრომდე ეს საკითხი დღის წესრიგში არ დამდგარა.[21]

პრაქტიკა

Actio popularis გამოყენებით ნაწარმოები საქმეები ძირითადად შეეხება ბოშა ბავშვების სეგრეგაციას სკოლებში და ბოშა ქალების დისკრიმინაციას სქესისა და ეთნიკური ნიშნის საფუძველზე. სასამართლო პრაქტიკა არ არის თანმიმდევრული, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, ბევრი სარჩელი აქვს შეტანილი ერთ-ერთ ადგილობრივ ორგანიზაციას.

პირველი წარმატებული actio popularis საქმე ეხება ბოშა ბავშვთა სეგრეგაციას სკოლებში. საქმის განხილვა დაიწყო 2011 წელს და დასრულდა 2012 წელს. კერძოდ სკოლა *Šarišské Michaľany-ს* ქონდა სპეციალური კლასები და სართულები ბოშა ბავშვებისთვის, რასაც ამართლებდნენ ინდივიდუალური მიდგომითა და სოციალური უთანასწორობის შემცირების დროებით ღონისძიებით. მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ ეს პრაქტიკა წარმოადგენდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას და ბავშვების უფლების დარღვევას მიეღოთ განათლება დისკრიმინაციის გარეშე.[22] ბოლო ინსტანციის სასამართლომ გაიზიარა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს არგუმენტაცია, გადაწყვეტილება შეცვალა მხოლოდ იმ ნაწილში სადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაავალდებულა სკოლა გამოექვეყნებინა გადაწყვეტილება. უცვლელი დატოვა გადაწყვეტილება კლასების შერევის ნაწილში. გადაწყვეტილებაში აქცენტი გაკეთდა ფართო სოციალურ კონტექსტზე, სეგრეგაციის მიუღებლობასა და ღირსების მნიშვნელობაზე.[23] აღნიშნული საქმის აღსრულება საკმაოდ პრობლემური გახდა, რაზე დეტალური ინფორმაციაც წარმოდგენილი იქნება კვლევის შემდგომ- გადაწყვეტილებების აღსრულების თავში.[24]

მეორე საქმეში ორგანიზაციამ *Center for Civil and Human Rights*, შეიტანა სარჩელი განათლების სამინისტროსა და პრესოვის გამგეობის წინააღმდეგ სოფელ ტერნაში ბოშა ბავშვების ***სეგრეგაციის*** საკითხზე. არასამთავრობო ორგანიზაციის მტკიცებით, ხელისუფლებამ მხედველობაში არ მიიღო

---

[20] European Commission Against Racism and Intolerance, Report on Slovakia,2014, para 24, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3pijoZE.

[21]Country report non-discrimination 2020, Slovakia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ 81, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3ohDIZy.

[22] პრეს რელიზი, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3oilFCA.

[23] სასამართლო გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3oeiv2N, ასევე Country report non-discrimination 2020, Slovakia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 52, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3ohDIZy.

[24] იხ კვლევის გვ. 38.

ადგილობრივი სკოლის სივრცითი შეზღუდვები და სკოლის გეოგრაფიული არეალი ისე განსაზღვრა, რომ შეუძლებელი იყო სკოლას ერთდროულად მიეღო როგორც ბოშა, ასევე ეთნიკური უმრავლესობის წარმომადგენელი ბავშვები. შესაბამისად, სკოლის გადაწყვეტილებით, ბოშა ბავშვების გაკვეთილები ტარდებოდა ცალკე და მეორე ცვლაში. მოსარჩელე ითხოვდა პასუხისმგებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს მიეღოთ ეფექტიანი ზომები სეგრეგაციის აღმოსაფხვრელად და თავიდან ასაცილებლად. თანასწორობის ორგანომ გამოიყენა სასამართლო მეგობრის ანალოგი (third party intervention) სასარჩელო მოთხოვნის მხარდასაჭერად. არც პირველმა და არც მეორე ინსტანციის სასამართლომ არ გაიზიარეს მოსარჩელის მოთხოვნა. სასამართლომ ჩათვალა, რომ სასკოლო პროცესის ორგანიზებაში სახელმწიფო ვერ ჩაერეოდა.[25] ამ საქმეში პრობლემური იყო ასევე სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებები.[26] მოპასუხე ასევე დაობდა მოსარჩელის actio popularis გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლომ ამასთან დაკავშირებით განმარტა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას ჰქონდა მსგავსი ტიპის სარჩელის შეტანის უფლება. საქმე კვლევის მომზადების ეტაპისათვის გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში.[27]

ბოშა ბავშვების სეგრეგაციის მიმართულებით, ორგანიზაციას სხვა სარჩელიც შეიტანა actio popularis გამოყენებით, თუმცა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლომ სარჩელი არც აქ დააკმაყოფილა. ამის მიუხედავად, პროცედურული კუთხით მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა. კერძოდ სასამართლომ განაცხადა, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, სასამართლოს შეეძლო მოპასუხისთვის ისეთი ზომების შესრულების დავალდებულება, რომლებიც ***დისკრიმინაციის პრევენციას*** ისახავს მიზნად, რაც მათ შორის გულისხმობს დესეგრეგაციის გეგმის შემუშავებას.[28]

როგორც აღინიშნა, actio popularis აქტიურად გამოიყენება ბოშა ქალთა უფლებების დასაცავად. *სამოქალაქო და ადამიანის უფლებათა ცენტრმა* 2014 წელს გაასაჩივრა ახალდაბადებული ბავშვის შეღავათების შესახებ აქტის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც ახალდაბადებული ბავშვის ფინანსურ დახმარებას ვერ იღებს ქალი, რომელიც კლინიკას ტოვებს კლინიკის თანხმობის გარეშე. ორგანიზაციის აზრით, ეს ჩანაწერი იყო დისკრიმინაციული, ბოშა ქალების მიმართ, სქესისა და ეთნიკური ნიშნის საფუძველზე, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის და მათ შორის არასათანადო მოპყრობის გამო ხშირად ტოვებენ კლინიკებს ჩვილის დაბადების შემდეგ. პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს სარჩელი, ბოლო ინფორმაციით საქმე გასაჩივრებულია უზენაეს სასამართლოში.

ამ საქმეში ორი ასპექტი გამოიკვეთა, ამ გადაწყვეტილების დადებითი ასპექტია ის გარემოება, რომ სლოვაკეთის რეგიონალურმა სასამართლომ დაადასტურა რომ actio popularis სუბიექტებს ქონდათ უფლება გაესაჩივრებინათ ნორმების შეუსაბამისობა ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან, თუმცა სასამართლომ არ დაუშვა actio popularis-ით ***არაპირდაპირი დისკრიმინაციის*** მტკიცების

[25] მოკლე ინფორმაცია სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2Yb2QXk.
[26] Country report non-discrimination 2020, Slovakia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ 83, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3ohDIZy.
[27] პრეს რელიზი, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/39gLlv7.
[28] პრეს რელიზი, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/2NCfEnN.

შესაძლებლობა, აღნიშნა რა, რომ დისკრიმინაციის შეფასება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც უშუალოდ ინდივიდუალურ მსხვერპლებს აქვთ შეტანილი სარჩელი.[29]

ბოშა ქალების დისკრიმინაცია ეთნიკური და სქესის ნიშნის საფუძველზე წარმოადგენდა სხვა actio popularis საგანსაც. 2013 წელს *Center for Civil and Human Rights* შეიტანა სარჩელი ჯანდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ. საქმე ჯერ კიდევ მიმდინარეა პირველი ინსტანციის სასამართლოში.[30]

ხორვატია

ხორვატიის პრაქტიკა აჩვენებს რომ actio popularis ხშირად გამოიყენება ლგბტ პირთა უფლებების დასაცავად, კერძოდ კი დისკრიმინაციული გამონათქვამების გასასაჩივრებლად.

საკანონმდებლო რეგულირება და პროცედურული საკითხები

ხორვატიის ანტიდისკრიმინაციული აქტით, კანონის შესაბამისად დაფუძნებულ ასოციაციებს, ფონდებს, პროფესიულ კავშირებს ან სხვა ორგანიზაციებს, რომლებსაც აქვთ გამართლებული (Justified) ინტერესი დაიცვან განსაზღვრული ჯგუფის კოლექტიური ინტერესები ან რომელთა მოქმედების მანდატი მოიცავს თანასწორუფლებიანობის დაცვას, შეუძლიათ წარადგინონ ე.წ. ერთობლივი სარჩელი.[31] სარჩელის წარდგენისას მოსარჩელემ უნდა აჩვენოს რომ სავარაუდოდ მოპასუხის ქმედებამ დაარღვია ადამიანთა იმ დიდი ჯგუფის თანასწორი მოპყრობის უფლება, რომლის უფლებებსაც იცავს ასოციაცია.[32]

სასარჩელო მოთხოვნებს რაც შეეხება, როგორც ასოციაციებს, ასევე კონკრეტულ მსხვერპლებს შეუძლიათ მოითხოვონ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, იმ ქმედებების აკრძალვა, რომელიც არღვევს ან შეიძლება დაარღვიოს თანასწორი მოპყრობის უფლება; იმ ქმედებების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციის ან მისი შედეგების აღმოფხვრას, მედია საშუალებაში გადაწყვეტილების გამოქვეყნება, ასევე ბოდიშის მოხდა. კომპენსაციის მოთხოვნა მხოლოდ მსხვერპლს შეუძლია.[33]

პრაქტიკა

ხორვატიაში actio popularis ძირითადად გამოიყენება დისკრიმინაციული გამონათქვამების გასაჩივრების მიზნით. არის რამდენიმე საქმე ლგბტ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების,

---

[29] იქვე.

[30] Country report non-discrimination 2020, Slovakia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 22, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3ohDIZy.

[31] აქ იგულისხმება საჯარო ინტერესის სარჩელი და არა ისეთი სარჩელი რომელსაც ერთზე მეტი პირი წარადგენს ერთად.

[32] Anti-discrimination Act, 9 July 2008, მუხლი 24 (1).

[33] Country report non-discrimination 2020, Croatia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 81, ხელმისაწვდომია აქ:https://www.equalitylaw.eu/downloads/5271-croatia-country-report-non-discrimination-2020-1-81-mb

ისევე როგორც კონსერვატიული ჯგუფების მიერ ამ მექანიზმის წარუმატებელი გამოყენების მცდელობები.

ოთხმა არასამთავრო ორგანიზაციამ - *LORI Lesbian Organization Rijeka, Zagreb Pride, Domino Zagreb and Centre for Peace Studies Zagreb*, სარჩელი შეიტანა ხორვატიის ყველაზე პოპულარული საფეხბურთო კლუბის ყოფილი აღმასრულებელი მენეჯერის და საფეხბურთო ფედერაციის ვიცე პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომელმაც განაცხადა, რომ მის ეროვნულ ნაკრებში „გეები ვერ ითამაშებდნენ." პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს სარჩელი ვინაიდან მიიჩნიეს, რომ მოპასუხის კომპეტენციის ფარგლებში არ შედიოდა გადაეწყვიტა და შეერჩია ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობა. უფრო მეტიც, მსგავსი ტიპის განაცხადი ვერ მოახდენდა გავლენას შესარჩევ პროცესზე. სასამართლომ ასევე ჩათვალა, რომ მოპასუხეს ჰქონდა უფლება საჯაროდ გამოეხატა თავისი აზრი, თუნდაც მცდარი. 2015 წელს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა პირველი და მეორე ინსტანციის გადაწყვეტილებები. მიუთითა რა საქმეზე *Feryn,*[34] დაადგინა რომ მოპასუხის განცხადებებს, მისი სტატუსიდან გამომდინარე ***შეეძლო დისკრიმინაციის წახალისება*** და ლგბტ პირების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. შესაბამისად, სასამართლომ პირდაპირი დისკრიმინაცია დაადგინა. ვინაიდან სარჩელი შეტანილი იყო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, სასამართლომ მოპასუხეს დაავალა საჯარო ბოდიშის მოხდა და ასევე, მას სამომავლოდ აუკრძალა მსგავსი ტიპის განცხადებების გაკეთება.[35]

ამ საქმეში გაერთიანდა ასევე სარჩელი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის წინააღმდეგ, რომელმაც მსგავსი შინაარსის მქონე განცხადებები გააკეთა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ „გეები ვერ ითამაშებდნენ ფეხბურთის ეროვნულ ნაკრებში" მანამ სანამ ის იქნებოდა ხორვატიის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი. რამდენიმე ინსტანციაში საქმის განხილვის შემდგომ, საბოლოოდ უზენაესმა სასამართლომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს დაავალა ბოდიშის მოხდა საჯაროდ, ვინაიდან მან ვერ დაამტკიცა, რომ მისი განცხადება არ იყო შეურაცხმყოფელი, აგრესიული, დამამცირებელი და არაჰუმანური.[36] საინტერესოა ისიც, რომ ამ საქმეზე ამ სამართლებრივი შედეგის გარდა, სხვა შედეგიც დადგა. კერძოდ ხორვატიის ომბუდსმენმა მოითხოვა განათლების, მეცნიერების და სპორტის სამინისტროს დაჯარიმება 10 000 ევროთი, რაც დაკმაყოფილდა.[37]

როგორც აღინიშნა, actio popularis იყენებენ ***კონსერვატიული დაჯგუფებები*** და არასამთავრობო ორგანიზაციებიც. მაგალითად, ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, ოჯახის სახელით, Index.hr სტატიის ავტორების კომენტარი, ერთ-ერთი რელიგიური რიტუალის ინტენსიურ გაშუქებასთან დაკავშირებით, მიიჩნია დისკრიმინაციულად. კომენტარში რიტულიას გაშუქება შეფასდა, როგორც ყველაზე გიჟური ნეკროფილური ორგია, რაც კი უჩვენებია ხორვატიის ეროვნულ ტელევიზიას. მოსარჩელის განმარტებით, რიტუალში მონაწილე ადამიანების ნეკროფილებად მოხსენიება იყო

[34] European Court of Justice, CGKR v Firma Feryn NV, Case C-54/07, 2008,EU:C:2008:397, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/3ci0nma

[35] European Anti-Discrimination Law Review, 2013, the European Network of Legal Experts in the Non-discrimination Field, გვ 54, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/36cnNFN.

[36] Country report non-discrimination 2020, Croatia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 82, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3pu6Fms

[37] Report on measures to combat discrimination, Country report Croatia 2012, European network of legal experts in the non-discrimination field, European Commission, გვ. 9, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2NAuawl.

პრობლემატური. 2017 წელს სასამართლომ არ დაადგინა დარღვევა, ვინაიდან გაიზიარა მოპასუხის არგუმენტაცია იმასთან დაკავშირებით, რომ სტატიის მიზანი იყო ტელევიზიის მიერ ინტენსიურ გაშუქების საკითხზე სატირული მოსაზრების გამოხატვა და არა კათოლიკე მორწმუნეების ღირსების შელახვა, შიშის გამოწვევა ან/და დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენება.[38]

მსგავსი ტიპის საქმეა, ასოციაცა *Vigilare* საქმე სადაც ის დაობდა კათოლიკეების დისკრიმინაციაზე რომელიც გამოწვეული იყო მოპასუხის- I.J - ფრაზით: "ხორვატია არის სეკულარული ქვეყანა, ეს არ არის კათოლიკური ჯამაჰირია." სარჩელი არ დაკმაყოფილდა არცერთი ინსტანციაში.[39]

იტალია

იტალიის მაგალითი საინტერესოა როგორც მრავალფეროვანი თემატიკით, რომელიც გვხვდება საქმეებში, ასევე სანქციების სისტემით. ამას გარდა, პრაქტიკა საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ არაერთ საქმეში ორგანიზაციებთან ერთად თანამოსარჩელები ამა თუ იმ თემის წევრები არიან. პროფესიულ კავშირებსაც აქტიური როლი აქვთ actio popularis განვითარებაში.

საკანონმდებლო რეგულირება და პროცედურული საკითხები

იტალიაში არ არის ერთი კონკრეტული საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც იძლევა actio popularis გამოყენების შესაძლებლობას. ეს საკითხი დარეგულირებულია რამდენიმე აქტით, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაციას. ამ აქტების მიხედვით,[40] ორგანიზაციებს და პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს მსხვერპლის გარეშე, როდესაც შეუძლებელია მსხვერპლის დაუყოვნებლივ ან პირდაპირ იდენტიფიცირება. კერძოდ, 67/2006 აქტის მიხედვით[41] ასოციაციებს შეუძლიათ მოითხოვონ დისკრიმინაციული აქტების გადახედვა. ამავე აქტის თანახმად, ასოციაციებს შეუძლიათ იმოქმედონ კოლექტიური დისკრიმინაციის შემთხვევაში. პროფესიულ კავშირებთან დაკავშირებით სპეციალური ჩანაწერია 1998 წლის #286 აქტში, რომლის თანახმად პროფესიულ კავშირებს აქვთ უფლება იმოქმედონ კოლექტიური დისკრიმინაციის წინააღმდეგ, როდესაც მსხვერპლი არ არის იდენტიფიცირებადი.[42]

---

[38] Country report non-discrimination 2020, Croatia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 83, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3pu6Fms

[39] იქვე, გვ.112

[40] აქტები, რომლითაც უზრუნველყოფილია ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაცია Leg. July 9, 2003, n. 215 – Implementation of Directive 2000/43 / EC for the equal treatment of people regardless race and ethnic origin, Leg. July 9, 2003, n. 216 – Implementation of Directive 2000/78 / EC for equal treatment in the field of employment and working conditions, ასევე მნიშვნელოვანია იმიგრაციის აქტი, ხელმისაწვდომია აქ: https://www.refworld.org/pdfid/54a2c23a4.pdf და Act 67/2006, Provisions on the judicial protection of persons with disabilities who are victims of discrimination.

[41] მე-4 მუხლი, მე-2 პარაგრაფი

[42] Report on measures to combat discrimination, Country report Italy 2013, European network of legal experts in the non-discrimination field, European Commission, გვ. 73 ხელმისაწვდომია აქ: ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3ohsCnA

ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის მიმართულებით და სურთ სამართალწარმოებაში ჩართვა, რეგისტრირებული უნდა იყვნენ თანაბარი შესაძლებლობის დეპარტამენტის სიაში, რომელსაც ამტკიცებს შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო და თანაბარი შესაძლებლობის დეპარტამენტი. თუ საქმე ცდება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციას დასაქმების სფეროში, ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები საჭიროებენ სპეციალურ სიაში დარეგისტრირებას შრომის სამინისტროს მიერ. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება დისკრიმინაციის სხვა ნიშნებზე ფოკუსირებულ ორგანიზაციებზე.[43] რეგისტრაციისას ყურადღება ექცევა ორგანიზაციის მიზანსა და საქმიანობის განგრძობითობას.

ერთ-ერთი სამართლებრივი საკითხი, რომელიც არ არის ცხადი, შეეხება განსჯად სასამართლოს. კერძოდ, უნდა განისაზღვროს თუ არა შესაბამისი სასამართლო მოსარჩელე ორგანიზაციის სარეგისტრაციო მისამართის მიხედვით, თუ ნებისმიერ სასამართლოში უნდა შეეძლოს მას სარჩელის შეტანა მისამართის მიუხედავად. უზენაეს სასამართლოში მიმდინარე საქმეა ამ საკითხზე.[44]

რაც შეეხება ***სასარჩელო მოთხოვნებს,*** მოსამართლეს შეუძლია მოსთხოვოს მხარეს დისკრიმინაციული ქცევის/მოქმედების შეწყვეტა, აქტის გაუქმება, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა მაგალითად, კონკრეტული გეგმის სახით. ასევე შესაძლებელია გადაწყვეტილების გამოქვეყნება ეროვნულ გაზეთში. ამას გარდა, იმიგრაციის აქტით განსაზღვრულია, რომ იმ ორგანიზაციების მიერ დისკრიმინაციული აქტის ან ქმედების ჩადენა, რომლებიც იღებენ საჯარო დაფინანსებას ან საჯარო ტენდერების გამარჯვებულები არიან, შეიძლება შეუწყდეთ დაფინანსება მომდევნო ორი წლის განმავლობაში. საინტერესოა იტალიის სასამართლო პრაქტიკა მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

პრაქტიკა

იტალიის პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი საქმეა, განსაკუთრებით მიგრანტთა, ბოშებისა და ლგბტ პირთა უფლებებზე. პრაქტიკის განვითარებაში წვლილი შეაქვთ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ასევე პროფესიულ კავშირებსაც. მართალია პრაქტიკაში ხშირად ხდება ორგანიზაციების ამ უფლების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება მოპასუხე მხარეების მიერ, თუმცა სასამართლო არ იზიარებს მათ არგუმენტაციას.

საინტერესოა საქმე ***რაინეარის წინააღმდეგ,*** რომელიც პროფესიულმა კავშირებმა მოიგეს. კერძოდ, მათ გაასაჩივრეს პილოტებისა და ბორტგამცილებლების ხელშეკრულების კონკრეტული ჩანაწერი, რომლის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტას გამოიწვევდა პროფესიული კავშირის რომელიმე აქტივობაში ჩართულობა და არა პროფესიული კავშირის წევრობა როგორც ასეთი. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს ჩანაწერი შეაკავებდა პროფესიულ კავშირებში გაერთიანებულ პირებს დაინტერესებულიყვნენ ამ კონკრეტული ავიაკომპანიის ვაკანსიებით, განსაკუთრებით კი პილოტების გაფიცვის შედეგად კომპანიის მიერ გავრცელებული განცხადების შემდეგ. კომპანიას დაეკისრა თავისი ხარჯით ორ

[43]Country report non-discrimination 2019,Italy, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 9, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3iMcoSi.
[44] Country report non-discrimination 2020,Italy, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 48, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/2M2kABW.

ეროვნულ გაზეთში გადაწყვეტილების გამოქვეყნება და 50 000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანის სახით.[45]

იტალიაში საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ხშირია საქმეები ***თავშესაფრის მაძიებლების*** უფლებებთან დაკავშირებით. 2019 წელს, არასამთავრობო ორგანიზაციებმა სარჩელი შეიტანეს პოლიტიკოსის წინააღმდეგ, რომელმაც თავშესაფრის მაძიებლებს უწოდა არალეგალები (clandestine). ყველა ინსტანციის სასამართლომ ეს გამონათქვამი შეაფასა როგორც შევიწროება და დაავალა მოპასუხეს 5 000 ევროს გადახდა მოსარჩელე ორგანიზაციების სასარგებლოდ. ამავე საქმეში სასამართლომ ასევე დაადასტურა ორგანიზაციების actio popularis უფლება კოლექტიური დისკრიმინაციის შემთხვევაში, ვინაიდან ტერმინი არალეგალები (clandestine) მიმართული იყო განუსაზღვრელი ჯგუფის თავშესაფრის მაძიებლებისკენ და შეუძლებელი იყო ერთი კონკრეტული მსხვერპლის იდენტიფიცირება.[46]

შემდეგი საქმეები საინტერესოა არამხოლოდ იმით, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მოხდა, არამედ იმითაც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მოსარჩელელები იყვნენ თემის წარმომადგენელი კონკრეტული პირები.

ერთ-ერთ საქმეში ***ბოშა ქალმა ორ არასამთავრობო ორგანიზაციასთან*** ერთად გაასაჩივრა საადვოკატო გამოცდის მოსამზადებელ სახელმძღვანელოში ერთ-ერთი ჩანაწერი ბოშებთან დაკავშირებით, სადაც ბოშა გაიგივებული/იდენტიფიცირებული იყო მათხოვრად და დამნაშავედ. სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი და დაავალა გამომცემელს, ყველა არსებული ასლის ამოღება გაყიდვიდან, ისევე როგორც სახელმძღვანელოდან შესაბამისი ნაწილის წაშლა და ინდივიდუალური მოსარჩელე მსხვერპლისთვის ათასი ევრო არამატერიალური ზიანის ანაზღაურება. ეს საქმე საინტერესო ორი კუთხითაა, ერთი - სასამართლომ მიიჩნია რომ მოსარჩელე ბოშა ქალს, როგორც თემის/ჯგუფის წარმომადგენელს, ჰქონდა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და მეორე - რომ თანხა მიჩნეულ იქნა როგორც დარღვეული უფლების აღმდგენი, თუმცა სასამართლოს არ მოუთხოვია განმცხადებლებს ეჩვენებინათ ის კონკრეტული შედეგები, რაც ამ ზიანმა გამოიწვია.[47]

მომდევნო საქმეშიც ***ოთხმა მოქალაქემ და ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ*** შეიტანეს სარჩელი ვარალოს თვითმმართველობის წინააღმდეგ ქალაქში გამოკრული რასისტული პოსტერების გამო. ვინაიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე მოხდა პოსტერების აღება, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი თუმცა ამ პროცესის შემდეგ ქალაქში გაჩნდა ახალი პოსტერები მოსარჩელეებთან დაკავშირებით. მოსარჩელეებმა ამჯერად სასამართლოში სარჩელი ვიქტიმიზაციის მუხლით შეიტანეს. სასამართლომ დაადგინა, რომ იმ პირთა ქმედებები, რომლებიც დისკრიმინაციის წინააღმდეგ იბრძვიან, იმის მიუხედავად არიან თუ არა უშუალო მსხვერპლები, უნდა

[45] Tribunal of Bergamo, judgment of 30 March 2018, No. 1586. ასევე Country report non-discrimination 2019,Italy, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 70, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3iMcoSi

[46] Country report non-discrimination 2020,Italy, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 67, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2M2kABW

[47] ინფორმაცია საქმის შესახებ, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3a1bIVg

იყოს დაცული. მუნიციპალიტეტს დაევალა თითოეული მოსარჩელისთვის მორალური ზიანისთვის 5 000 ევროს გადახდა და ასევე სასამართლო გადაწყვეტილების გამოქვეყნება გაზეთში.[48]

და ბოლოს, ორგანიზაციამ *Rete Lenford*, რომელიც ლგბტ პირთა უფლებების დაცვაზე მუშაობს, გაასაჩივრა ცნობილი ადვოკატის ფრაზა, რომელმაც განაცხადა, რომ ძალიან კარგად და ფრთხილად შეამოწმებდა ყველა აპლიკაციას, რათა თავიდან აეცილებინა გეის აყვანა სამსახურში. უზენაესმა სასამართლომ მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, რეფერირების პროცედურის წესის დაცვით, წინასწარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, გადააგზავნა საქმე მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოში და მოითხოვა დირექტივის[49] რამდენიმე მუხლის ინტერპრეტაცია. სასამართლომ 2020 წლის აპრილს მიიღო გადაწყვეტილება[50] და დაადგინა, რომ გამონათქვამი ჯდებოდა ევროკავშირის დირექტივით დაცულ სფეროში და ასევე განმარტება გააკეთა, რომ ორგანიზაციებს ჰქონდათ მსგავსი ტიპის სარჩელით სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. საქმე იტალიის უზენაეს სასამართლოშია საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

საფრანგეთი

ექსპერტების შეფასებით საფრანგეთში ინდივიდუალური საქმეების წარმოებას საკმაოდ ბევრი პროცედურული დაბრკოლება და გამოწვევა აქვს, შესაბამისად actio popularis, რომელიც შედარებით ახალი მექანიზმია საფრანგეთისთვის, და class action, შეიძლება იყოს გამოსავალი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსასრულებლად.[51] მართალია როცა საფრანგეთზეა საუბარი, მეტი აქცენტი class action-ზეა, მაგრამ ვინაიდან რამდენიმე საქმე actio popularisით არის წარმოებული, ინფორმაცია ამ საქმეების შესახებ შესაძლოა საინტერესო იყოს. საფრანგეთში actio popularis უფრო მეტად აქტების და რეგულაციების გასაუქმებლად გამოიყენება, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას ახდენენ შეზღუდული შესაძლებლობისა თუ სხვა ნიშნის საფუძველზე.

საკანონმდებლო რეგულირება და პროცედურული საკითხები

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს ძირითად პრინციპს, რომ ყველას ვისაც აქვს ლეგიტიმური ინტერესი სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით, შეუძლია მიმართოს სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართლის კოდექსი კი განსაზღვრავს, რომ პროფესიულ კავშირებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც არიან დარეგისტრირებულები სულ ცოტა 5 წლით და წესდებით განსაზღვრული აქვთ დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლა, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს კანონდებლობით განსაზღვრული უფლებების დაცვის მიზნით. შრომის

[48] Country report non-discrimination 2019,Italy, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 56, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3iMcoSi

[49] 2000 წლის 27 ნოემბრის დირექტივა 2000/78, რომელიც დასაქმებისა და შრომითი საქმიანობის საკითხებთან მიმართებით თანაბარი მოპყრობის ზოგად სტრუქტურას აყალიბებს.

[50] ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3sV5oXV

[51] European Equality Law Review, 2020/1, European Network of legal experts in gender equality and non-discrimination, გვ 31 ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2MoHH9L.

კოდექსი[52] ასევე აძლევს უფლებას პროფესიულ კავშირებს გაასაჩივრონ კოლექტიური ხელშერულებები თუ ისინი ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს.[53]

რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნებს, დისკრიმინაციის საქმეებზე მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს საკომპენსაციო ზიანის (compensatory damages) ანაზღაურება დადისკრიმინაციული ქმედების აღკვეთა.

პრაქტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, საფრანგეთში ხშირია სარჩელები ***აქტების გაუქმებასთან*** დაკავშირებით. ტრანსპორტის კოდექსის მიხედვით, რეგიონულ მმართველობას შეუძლია დააწესოს საშეღავათო სატრანსპორტო ტარიფები თუ პირთა შემოსავალი გარკვეულ ზღვარს მიღმაა. ასევე განსაზღვრულია ის ზღვარი, რომელიც აძლევს პირებს სპეციალური, სოციალურ ჯანდაცვის ბარათის აღების შესაძლელობას, მათ შორის არალეგალურ მაცხოვრებლებსაც. ამის საწინააღმდეგოდ, რეგიონალურმა ხელისუფლებამ მიიღო რეგულაცია, რომლის მიხედვითაც, არარეზიდენტი პირები, მათი შემოსავლის მიუხედავად, ვერ ისარგებლებდნენ სატრანსპორტო შეღავათებით. აღნიშნული რეგულაცია გასაჩივრდა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ და სასამართლომ გააუქმა აქტი როგორც უკანონო.[54]

ქვეყნები action popularis მწირი პრაქტიკით
ალბანეთი

ალბანეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით[55] არავის შეუძლია წარმოადგინოს სხვების ინტერესები სამოქალაქო საქმეზე. ადმინისტრაციული დავების წარმოების შესახებ კანონის მიხედვით[56] კი, ასოციაციებს ან საინიციატივო ჯგუფებს, შეუძლიათ სარჩელის შეტანა, თუ დაამტკიცებენ რომ კანონიერი საჯარო ინტერესი შეილახა ნორმატიული ან ადმინისტრაციული აქტით. პირდაპირი ჩანაწერი actio popularis თაობაზე არ გვხვდება ანტიდისკრიმინაციულ აქტში. პრაქტიკა ამ მხრივ თითქმის არ არსებობს და ექსპერტები ამას სწორედ სპორადული და ფრაგმენტული საკანონმდებლო ბაზით ხსნიან.[57]

ავსტრია

ავსტრიაში actio popularis სარგებლობის უფლება შესაძლებელია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევაში. 2013 წლიდან ეს შესაძლებლობა უკვე შეზღუდული შესაძლებლობის ფედერალური თანასწორობის აქტით არის გათვალისწინებული და ამ

[52] მუხლები: L2251-1 and L2132-3 LC.
[53] Country report non-discrimination 2020,France, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 90, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/3cgUxln.
[54] საქმის მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/3odeonz.
[55] 90-ე მუხლი.
[56] მე-15 მუხლი.
[57] NGOs and the judiciary - watch dog activities, interactions, collaboration, communication", County report-Albania, Inpris, გვ 15, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3a86CXh.

უფლებით სარგებლობის უფლება მინიჭებული აქვს სამ ორგანიზაციას: Austrian National Council of Disabled Persons, the Litigation Association of NGOs Against Discrimination და the Ombud for People with Disabilities. მათ შეუძლიათ შეიტანონ სარჩელი სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ თუ კომპანია არ ასრულებს დისკრიმინაციის აკრძალვის ვალდებულებას ისე რომ ეს არსებითად ეხება რეგულაციით დაცული ჯგუფის ზოგად ინტერესს და მრავლობით საქმეებს. 2017 წლიდან კი იგივე ორგანიზაციებს უფლება აქვთ განუსაზღვრელ პირთა უფლებების ინტერესების დასაცავად გამოიყენონ ეს მექანიზმი. თუმცა მათ დისკრიმინაციული ქცევის აკრძალვა ან შეჩერება მხოლოდ დიდი კომპანიების შემთხვევაში შეუძლიათ მოითხოვონ, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ დისკრიმინაციის დადგენა/დეკლარირება.

არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად ითხოვენ ამ მექანიზმის გავრცელებას დისკრიმინაციის სხვა საფუძვლებზეც, თუმცა ამ დრომდე ეს მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული.[58] ამას გარდა, მიუხედავად იმისა, რომ actio popularis არსებობას კანონმდებლობაში ამ სფეროში მომუშავე პირები დადებითად აფასებენ, ისინი გარკვეულ ხარვეზებზეც მიუთითებენ. გარდა იმისა, რომ მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის არსებობისას შეუძლია მხარეს გამოიყენოს ამ ტიპის სარჩელი, ამ სფეროშიც კი შეზღუდულია მისი გამოყენება. მაგალითად, იგი არ ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციაზე შრომით ურთიერთობებში. ასევე არ არის ჩანაწერი ინტერსექციურ დისკრიმინაციაზე და ამ შემთხვევაში გაურკვეველია რამდენად შეძლებენ არასამთავრობო ორგანიზაციები ამგვარი ქმედებისა თუ აქტის გასაჩივრებას. ამას გარდა, ის ფაქტი რომ მცირე კომპანიების შემთხვევაში შესაძლებელია მხოლოდ სადეკლარაციო გადაწყვეტილების მოთხოვნა, ამ მექანიზმის ეფექტიანობას ეჭქვეშ აყენებს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში მოპასუხეები არიან მცირე კომპანიები და ამ ტიპის საქმეებზე მხოლოდ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა არ არის საკმარისი (მაგალითად, თუ საქმე ეხება ფიზიკური ბარიერებს, აქ გამოსავალი ფიზიკური ბარიერების მოხსნა იქნება და მხოლოდ ფაქტის აღიარება არ არის საკმარისი).

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას ზოგადად, იგი ძალიან მწირია. ინდივიდუალური პირები თავს იკავებენ სასამართლოში სარჩელის შეტანისგან, საქმის წაგების რისკიდან და მაღალი ხარჯებიდან გამომდინარე. არსებობს მორიგების რამდენიმე წარმატებული მაგალითი ფოსტთან და დიდ სადაზღვევო კომპანიებთან,[59] რომელიც მსგავს შემთვევებში პრაქტიკულ გამოსავლად მიიჩნევა. რაც შეეხება უშუალოდ actio popularis, როგორც ზემოთ აღინიშნა იგი ითვლება კარგ და მნიშვნელოვან ინსტრუმენტად თეორიულად, თუმცა მისი გამოყენება ამ დრომდე არ მომხდარა, რაც შესაძლოა განაპირობებული იყოს ზემოთ განხილული მიზეზებით. კითხვაზე ურჩევნიათ თუ არა არასამთავრობო ორგანიზაციებს მორიგებები სასამართლო გადაწყვეტილებას, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არის, თუმცა ის ფაქტი, რომ სამართლებრივად შესაძლებელია ამ ინსტრუმენტის გამოყენება, **დიდი ალბათობით დადებით გავლენას ახდენს მორიგებების წარმატებით დასრულებაზე.**

---

[58] Country report non-discrimination 2020, Austria, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ 56, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/39k4Frs.

[59] Country report non-discrimination 2020, Austria მიხედვით აღნიშნული საქმეები actio popularis გზით გადაწყდა, თუმცა ეს ინფორმაცია არ დადასტურა ორგანიზაციამ, რომელმაც მორიგებით დაასრულა საქმეები.

გერმანია

გერმანიაშიც მსგავსად ავსტრიისა, actio popularis გამოყენება შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე ვიწროდ და შეზღუდულად, კერძოდ, როცა საქმე ეხება ხელმისაწვდომობას.[60] ამას გარდა, მექანიზმის გამოყენება შესაძლებელია შშმ მომხმარებლის დაცვის მიზნით, მაგალითად, როცა სახეზეა დისკრიმინაცია სტანდარტული პირობებით დადებულ კონტრაქტებში. მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს ქმედების აკრძალვა კანონის დარღვევისთვის. ასოციაცია აღრიცხული უნდა იყოს შესაბამის მიზნობრივ რეესტრში. [61]

სასამართლო პრაქტიკა აქაც მწირია. ბევრი ამის მიზეზად სასამართლოს ხელმისაწვდომობის არაფორმალურ ბარიერებსა და მტკიცებასთან (proof) დაკავშირებულ პრობლემებს უკავშირებს. შესაბამისად, მიიჩნევა, რომ სამართლებრივი მექანიზმები, მათ შორის actio popularis, შესაძლოა გაუმჯობესდეს.[62]

ლიხტენშტეინი

ლიხტენშტეინის კანონმდებლობით ასოციაციებს, ორგანიზაციებს და პროფესიულ კავშირებს შეუძლიათ გამოიყენონ actio popularis ინსტრუმენტი გარკვეულ შემთხვევებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის აქტის 27-ე, 29-ე და 31-ე მუხლების თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის ასოციაციებს შეუძლიათ სარჩელის წარდგენა კონკრეტული მსხვერპლის გარეშე საჯარო შენობების, გზებისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის საკითხებზე. ორგანიზაცია უნდა საქმიანობდეს ლიხტენშტეინში და არსებობდეს სულ ცოტა 5 წელი. რაც შეეხება საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც წყვეტს საკანონმდებლო აქტებისა და რეგულაციების შესაბამისობას კონსტიტუციასთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, აქ ასოციაციებს არ აქვთ ამ ინსტრუმენტის გამოყენების უფლება. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც რეგულაციების შემთხვევაში, ხმის მიცემის უფლების მქონე 100 ან მეტი პირის ხელმოწერების მოგროვების შემთხვევაში შეუძლიათ მიმართონ საკონსტიტუციო სასამართლოს.[63]

რაც შეეხება სასამართლო პრაქტიკას, არსებული ინფორმაციით, იგი არ არსებობს. ამის მიზეზად სხვადასხვა ფაქტორი სახელდება, მათ შორის ის გარემოება, რომ სასამართლოსთვის მიმართვამდე ხდება საკითხების მოგვარება, ან მსხვერპლი თავს იკავებს მიმართვისგან სირცხვილის ან სხვა ფაქტორების გამო. აღსანიშნავია ისიც, რომ არც არასამთავრობო ორგანიზაციათა და არც მედიის პლატფორმებზე არ ხდება პრობლემატიკის წინ წამოწევა.[64]

ლუქსემბურგი

ლუქსებუმბურგის კანონმდებლობით ასოციაციებს, რომლებიც ასეთად არიან მიჩნეულები იუსტიციის სამინისტროს მიერ, შეუძლიათ actio popularis გამოყენება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სასამართლოების წინაშე თუ პირდაპირი ან არაპირდაპირი ზიანი მიადგა იმ მიზანს, რასაც ისინი ემსახურებიან.

---

[60] Equal Opportunities for Persons with Disabilities Act, 27 April 2002, Section 14.

[61] Country report non-discrimination 2020, Germany, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 78, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/3ploqof.

[62] იქვე გვ. 95

[63] საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონი,მე-20 მუხლი

[64] Country report non-discrimination 2020, Liechtenstein, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission გვ 13, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/36eqzut.

ასოციაციებს შეუძლიათ მოითხოვონ ნებისმიერი სახის სანქცია, რასაც ითვალისწინებთ კანონი, მაგალითად დოკუმენტის ან მუხლის გაუქმება, ისევე როგორც ზიანის ანაზღაურება. ამ დროისთვის ასოციაციებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ეს უფლება პრაქტიკაში არ გამოუყენებიათ. [65]

ნიდერლანდები

ორგანიზაციებს, საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს და ადმინისტრაციულ ორგანოს თუ არ არის კონკრეტული მხვერპლი, ან მსხვერპლს თავად არ სურს სასამართლოსათვის საჩივრით მიმართვა. ამ შესაძლებლობას სამოქალაქო კოდექსისა და ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი აქტი იძლევა.[66] სარჩელი უნდა იძლეოდეს სხვა პირთა მსგავსი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას. აღსანიშნავია ისიც, რომ თუ კონკრეტული მსხვერპლი ამ პროცესის წინააღმდეგია, მასთან დაკავშირებულ კონკრეტულ შემთხვევას სარჩელი ვერ დაეფუძნება. ამგვარ შემთხვევაში ასევე სასამართლო არ მსჯელობს გადაწყვეტილებაში აღნიშნულ შემთხვევაზე გარდა იმ შემთვევებისა როდესაც შეუძლებელიამსხვერპლის საქმის გამოცალკევება.[67]
ორგანიზაციებს actio popularis[68] გამოყენებისას შეუძლიათ მოითხოვონ იგივე ზომების მიღება (remedies) რაც სხვა ტიპის სარჩელის შეტანისას არის გათვალისწინებული, მაგალითად ქმედების აკრძალვა, სამართლებრივი აღიარება ან მორალური ზიანის ანაზღაურება. მტკიცების ტვირთი იგივეა რაც დისკრიმინაციის სხვა საქმეებში.[69]

სასამართლო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ამ ტიპის საქმეებზე დასაშვებობის კრიტერიუმის დაკმაყოფილება რთულია, ვინაიდან სასამართლოს უჭირს საქმის დასაშვებად მიღება კონკრეტული მსხვერპლის გარეშე. ამას გარდა, მსგავსი მექანიზმით ძირითადად საჩივრები თანასწორობის ორგანოებში მიაქვთ.[70] თუმცა არის ერთი წარმატებული საქმე, სადაც ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებმა გაასაჩივრეს ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წესდება, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს ადგენდა წევრი ქალებისთვის.[71][72]

ნორვეგია

ასოციაციებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პროფესიულ კავშირებს დავების აქტის მიხედვით შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი სახელით იმ საკითხის ირგვლივ, რომელიც მათ მიზანს შეესაბამება და ხვდება მანდატში, იმ პირობით, რომ მათ აქვთ „წრფელი/ნამდვილი საჭიროება“ (genuine need).[73]

---

[65] იხ. https://www.equalitylaw.eu/downloads/5212-luxembourg-country-report-non-discrimination-2020-979-kb გვ 34

[66] სამოქალაქო კოდექსის 3:305 ა, 3:305 ბ1, ხელმისაწვდომია აქ:http://bit.ly/3sVNXq5, ადმინისტრაციული სამართლის ზოგადი აქტი 1:2 (3) ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/3qSEb6j.

[67] Report on measures to combat discrimination, Country report Nethrlands 2012, European network of legal experts in the non-discrimination field, European Commission, გვ.117, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3proNxG.

[68] general interest actions(algemeen belangacties).

[69] Country report non-discrimination 2020, Netherlands, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ 66, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/3a4Ae7Z.

[70] Report on measures to combat discrimination, Country report Nethrlands 2012, European network of legal experts in the non-discrimination field, European Commission, გვ. 118, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3proNxG.

[71] Report on measures to combat discrimination, Country report Netherlands 2010, European network of legal experts in the non-discrimination field, European Commission, გვ. 22, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2Yemz8z.

[72] აღსანიშნავია რომ აღნიშნულ საქმეში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა სასამართლოებმა განსხვავებული პოზიციები დააფიქსირეს.

[73] აქტის 1-4(1), 2-1(2).

ფორმალური მოთხოვნა, რომ ორგანიზაცია იყოს რეგისტრირებული არ არსებობს, თუმცა სასამართლო, იმის დადგენისას არსებობს თუ არა „წრფელი/ნამდვილი საჭიროება", ყურადღებას აქცევს ისეთ გარემოებებს, როგორიცაა ორგანიზაციის სტრუქტურა, წევრობასთან დაკავშირებული საკითხები, საქმიანობის მიზანი და არეალი.[74]

რაც შეეხება პრაქტიკას, ზოგადად საქმეების უმეტესობას, 95%-ს განიხილავს თანასწორობის და ანტიდისკრიმინაციის ომბუდსმენი და ანტიდისკრიმინაციული ტრიბუნალი.[75] მიიჩნევა, რომ ანტიდისკრიმინაციული საქმეების პრაქტიკის განვითარებაში ტრიბუნალს უფრო დიდი როლი მიუძღვის, ვიდრე სასამართლოებს.[76] ამასთან სასამართლოში ამ ინსტიტუტის გამოყენებით საქმის წაღების დაბრკოლება შესაძლოა უკავშირდებოდეს რისკებსა და ხარჯებს.[77]

პორტუგალია

მოქალაქეებს, ასოციაციებს, ფონდებს, პროკურატურას შეუძლიათ იმოქმედონ საჯარო ინტერესების დასაცავად. მათ შეუძლიათ გამოიყენონ actio popularis, რათა დაიცვან განუსაზღვრელი/არაიდენტიფიცირებად პირთა წრე ან ინტერესები დისკრიმინაციისგან ან ფუნდამენტური უფლებების დარღვევებისგან.[78] ამისათვის საჭიროა ლეგიტიმურობა და ინტერესი სარჩელის წარმდგენი პირის მხრიდან. არასამთავრობო ორგანიზაციებს ამ უფლებით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ სამოქმედო დოკუმენტში ამ კონკრეტული ინტერესის დაცვა განსაზღვრულია ერთ-ერთ მიზნად. შრომის კოდექსი პროფესიულ კავშირებს აძლევს შესაძლებლობას დაიცვან ინტერესები კონკრეტული, იდენტიფიცირებადი მსხვერპლის გარეშე.[79]

Actio popularis გამოყენება დასაშვებია სამოქალაქო, სისხლის და შრომით ურთიერთობებშიც. კანონმდებლობაში დისკრიმინაცია არ არის იმ ჩამონათვალში, რომელზეც შესაძლებელია ამ ინსტრუმენტის გამოყენება, თუმცა სამართლებრივმა პრაქტიკამ დისკრიმინაციის საქმეებიც ამ წრეში მოაქცია.[80]

სასამართლო პრაქტიკა დისკრიმინაციის საქმეებზე თითქმის არ არსებობს, ვინაიდან მსგავსი ტიპის საქმეებზე სასამართლოსთვის მიმართვის ტრადიცია არ არსებობს. ამას ექსპერტები უკავშირებენ სასამართლო ხარჯებს, მტკიცებულებების მოპოვების ხანგრძლივობას და ამგვარ საქმეთა სირთულეს. რაც შეეხება უშუალოდ actio popularis, ის ჯერ კიდევ არ არის დამკვიდრებული პორტუგალიაში.[81]

---

[74] Country report non-discrimination 2020, Norway, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ 66, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3sT0k6t.

[75] მისი გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში.

[76] Legal Rights and Protection of People with Disabilities in the Workplace, Swiss Institute of Comparative law, 2019-17, გვ 146, ხელმისაწვოდმია აქ: https://bit.ly/36e6B2U.

[77] იქვე გვ 148

[78] Civil Procedure Code, 2a.

[79] Labour Procedure Code (Decree-Law 480/99), Article 5(1).

[80] Country report non-discrimination 2020, Portugal, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 64, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/36ftGCi.

[81] იქვე

რუმინეთი

ანტიდისკრიმინაციული კანონის თანახმად, ასოციაციებს, მანდატის ფარგლებში შეუძლიათ მიმართონ როგორც თანასწორობის ორგანოს, ასევე სასამართლოებს როდესაც დისკრიმინაციის მსხვერპლია ჯგუფი ან თემი. ამისათვის არასამთავრობო ორგანიზაციებს წესდებაში უნდა ეწეროთ, რომ ადამიანის უფლებების ან დისკრიმიანციის წინააღმდეგ ბრძოლა არის მათი ორგანიზაციის მიზანი. ამას გარდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, სასამართლოს საჩივრებით შეიძლება მიმართონ პირებმა, ორგანიზაციებმა, ინსტიტუციებმა, პირადი ინტერესის დასაბუთების გარეშე, თუ ისინი მოქმედებენ სხვათა უფლებების და იმ პირების ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, რომლებიც არიან სპეციალურ სიტუაციაში (special situation), ან ჯგუფის, ან საჯარო ინტერესის დასაცავად.

სასამართლო პრაქტიკა აქაც მწირია, ვინაიდან საკანონმდებლო რეგულირების მიუხედავად, სასამართლოები არასამთავრობო ორგანიზაციებისგან ითხოვენ პირდაპირი ზიანის მტკიცებას, რომელიც მათ უშუალოდ მიადგათ. ამას გარდა, ზიანის მოთხოვნის შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებს სასამართლო სთხოვს მტკიცებულებას თვლად ზიანთან დაკავშირებით.[82] შესაბამისად, ისინი თანასწორობის ორგანოსთვის მიმართვას ამბჯობინებენ.[83] ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ actio popularis მეშვეობით არასამთავრობო ორგანიზაცია ACCEPT-ის წარდგენილი სარჩელი თანასწორობის ორგანოში საფუძვლად დაედო მართლმსაჯულების ევროპულ სასამართლოში განხილულ ცნობილ საქმეს.[84] სასამართლოს განმარტების მიუხედავად, ბუქარესტის ეროვნულმა სასამართლომ საკმარისად მიიჩნია გამოყენებული სანქცია (გაფრთხილება) და ასევე დაადგინა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ ვერ დაასაბუთა ლეგიტიმური საჯარო ინტერესის დარღვევა.[85]

სერბეთი

სერბეთის დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ კანონის მიხედვით,[86] თანასწორობის დაცვის მიზნით სასამართლოში სარჩელის შეტანა თანასწორობის ორგანოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ, რომლებიც მუშაობენ ადამიანის უფლებების ან კონკრეტული ჯგუფის უფლებების დასაცავად. ამ შესაძლებლობის გამოყენება ხდება მოქალაქეთა გაერთიანებების მიერაც.
სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება იყოს იმ ქმედების აკრძალვა, რაც დისკრიმინაციის საფრთხეს ქმნის, დისკრიმინაციული ქმედების აკრძალვა, დისკრიმინაციული ქმედების განმეორებით ჩადენის აკრძალვა, სასამართლოს მიერ დისკრიმინაციული ქმედების დადგენა და ზომების მიღება დისკრმინაციული ქმედებით გამოწვეული შედეგების აღმოსაფხვრელად.[87]

---

[82] იქვე გვ 70

[83] Country report non-discrimination 2020, Romania, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 70 ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3qUOMOk.

[84] CJEU, C-157/15, Accept, Judgement of 25 April 2013, ასევე საქმის მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/39klPFv.

[85] საქმის მოკლე მიმოხილვა ხელმისაწვდომია აქ:http://bit.ly/3iO8vME.

[86] 46-ე მუხლი.

[87] 43-ე მუხლი.

უნდა აღინიშნოს, რომ მიჩნეულია, რომ დასაწყისში სასამართლოს ჰქონდა რეზისტენტულობა actio popularis აღიარებასთან დაკავშირებით, თუმცა მოგვიანებით მიდგომა შეიცვალა.[88]

სამწუხაროდ, actio popularis ით ნაწარმოები მხოლოდ ერთი საქმის შესახებაა ინფორმაცია ხელმისაწვდომი. კერძოდ, ორგანიზაციამ *Gay Straight Alliance* შეიტანა სარჩელი ჟურნალისტის წინააღმდეგ გეი აღლუმამდე ერთი დღით ადრე გაკეთებული ჰომოფობიური განცხადების გამო. მეორე ინსტანციის სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და დაადგინა დისკრიმინაცია ლგბტ თემის მიმართ. ჟურნალისტს აეკრძალა მსგავსი განცხადებების გაკეთება და დაევალა მოსარჩელისთვის სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.[89]

ჩრდილოეთ მაკედონია

ჩრდილოეთ მაკედონიის ახალმა ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა[90] გაითვალისწინა actio popularis - ის გამოყენების შესაძლებლობა. ასოციაციებს, ფონდებს, პროფესიულ კავშირებს ან სხვა ორგანიზაციებს სამოქალაქო საზოგადოებიდან, ასევე არაფორმალურ ჯგუფებს, რომელთაც აქვთ ინტერესი დაიცვან სხვა ჯგუფის ინტერესი, ან რომლებიც მუშაობენ დისკრიმინაციის წინააღმდეგ, შეუძლიათ წარადგინონ სარჩელი სასამართლოში. ამასთან, მათ მოეთხოვებათ იმ ფაქტების წარდგენა, რომლებიც მიუთითებს ალბათობას, რომ მოპასუხის ქმედებებმა ადამიანთა დიდი ჯგუფის დისკრიმინაცია მოახდინა. ჩრდილოეთ მაკედონიაში საკონსტიტუციო სასამართლოსაც აქვს უფლება განიხილოს actio popularis საქმეები.

მსგავსი შესაძლებლობა ძველი ანტიდისკრიმინაციული კანონის ფარგლებშიც არსებობდა, თუმცა როდესაც მექანიზმის გამოყენებით ექვსმა ორგანიზაციამ განათლების სისტემაში ბოშათა სეგრეგაციის თემაზე მიმართა სასამართლოს, სასამართლომ მოითხოვა მსხვერპლის თანხმობა რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ამ მექანიზმის არსს.[91]

ვინაიდან ახალმა ანტიდისკრიმინაციულმა კანონმა გაამყარა actio popularis ინსტრუმენტი, არის მოლოდინი, რომ სამომავლოდ აქტიურად დაიწყება მისი გამოყენება. მაგალითად, North Macedonia Helsinki Committee აპირებს ეს მექანიზმი გამოიყენოს ქალთა შრომითი უფლებების დასაცავად.[92]

II Actio popularis გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი ფაქტორები

ეს თავი თემატურად აანალიზებს და აჯამებს actio popularis შემადგენელ ძირითად ელემენტებს. ძირითადი წყარო არის ამავე კვლევის მეორე თავში მოცემული ცალკეული ქვეყნის გამოცდილება, არასამთავრობო ორგანიზაციის რეკომენდაციები და სხვადასხვა ანგარიშის მიგნებები.

---

[88] Study on Implementation of Anti-discrimination Law in Serbia, YUCOM, 2017, გვ. 7, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3iSNssf.

[89] იქვე.

[90] 35-ე მუხლი (1), კანონი მიღებულია 2019 წლის მაისში.

[91] Country report non-discrimination 2020, North Macedonia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ 57, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3pppNSW.

[92] განაცხადი ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3clv7Tk.

Actio popularis ძლიერი მხარეები

შესწავლილი ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ინსტრუმენტი როგორც წესი გამოიყენება სტრუქტურულ, სისტემურ და განმეორებით დისკრიმინაციულ პრაქტიკასთან საბრძოლველად. აქცენტი კეთდება არა ინდივიდუალურ ზიანზე, რომელიც კონკრეტულმა მსხვერპლმა მიიღო (შეუძლებელიც კი არის ინდივიდუალი საქმის დეტალებზე მითითებების გაკეთება), არამედ ტენდენციებზე.[93] შესაბამისად, რიგ შემთვევებში მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა შეიძლება არც იყოს საკმარისი ამ მექანიზმის გამოსაყენებლად.

თუ ამ საკითხს ზოგადად შევხედავთ, დავინახავთ, რომ ხშირად actio popularis გამოყენება ხდება იქ, სადაც ინდივიდუალურ პირებს/მსხვერპლებს შესაძლოა არ უნდოდეთ სასამართლოსთვის მიმართვა. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს საქმის გასაჯაროების და შეფასებების თავიდან ასაცილებლად. Actio popularis თავიდან არიდებს მსხვერპლს სტიგმასა და სტერეოტიპებს, შესაძლო სიძულვილსა და აგრესიას მედიასა თუ სასამართლოში გამოჩენასთან დაკავშირებულ ემოციურ სტრესს. ამას გარდა, შესაძლოა სტრუქტრული დისკრიმინაციის მსხვერპლი უკანონო ქმედებასა თუ მოპყრობას კანონიერ ქმედებად ან მოპყრობად მიიჩნევდეს.[94] ამ ინსტიტუტის როლი მნიშვნელოვანი იმიტომაცაა, რომ პოტენციური მოსარჩელეები ხშირად გარკვეულწილად დამოკიდებულები არიან სავარაუდო დამრღვევზე და ვინაიდან ისინი ცდილობენ აიცილონ კონფლიქტი მათთან, ნაკლებია ალბათობა, რომ თავად მიმართონ თანასწორობის ორგანოს, ან სასამართლოს.[95] ამას გარდა, არის სფეროები, სადაც სპეციფიური ტექნიკური ცოდნაა საჭირო რაც დამატებით სირთულეს წარმოადგენს კონკრეტული პირებისთვის

რაც შეეხება უპირატესობასა და Actio popularis-ის დადებით შედეგს. აღნიშნული მექანიზმით საქმეების ინიცირების შემდეგ, შესაძლებელია მეტმა პირმა გამოთქვას თანახმობა გაასაჩივროს კონკრეტული შემთხვევა შესაბამისად, actio popularis-მა სამომავლოდ შეიძლება წაახალისოს ინდივიდუალური საქმეებიც.

ამას გარდა actio popularis უპირატესობად ითვლება ინდივიდუალური მსხვერპლის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული დამატებითი რესურსის (დროის და ფინანსურის) თავიდან აცილება. საკმაოდ დიდი ენერგია და დროა საჭირო სისტემური პრობლემების შემთხვევებში ინდივიდუალური მსხვერპლის მოძიებისა და გამოკვეთისთვის, მათი ნდობის მოპოვებისა და ასევე მტკიცებულებების შეგროვებისთვის, მაშინ როდესაც actio popularis შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემები[96] ან უწყების აქტი/გადაწყვეტილების მიღების პროცესის ამსახველი დოკუმენტი და ცალკეული ანგარიშები შესაძლოა საკმარისი იყოს. შესაბამისად, actio popularis შემთხვევაში ორგანიზაცია ასევე ახერხებს დროისა და ფინანსების დაზოგვას, რაც მტკიცებულებების მოპოვებასა

[93] European Anti-discrimination Law Review, the European Network of Legal Experts in the Non-discrimination Field, 2014, issue 19, გვ.31, ხელმისაწვდომია აქ:http://bit.ly/3cgWSfU.
[94] იქვე გვ. 33
[95] National Thematic Report, Hungary, European Union Agency for Fundamental Rights, გვ. 16, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2Y9MUol
[96] European Anti-discrimination Law Review, Issue #5, July 2007, the European Network of legal experts in non-discrimination field, გვ. 28, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3sSyRld

თუ მსხვერპლებთან კომუნიკაციისთვის შეიძლება იყოს საჭირო.[97] ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ actio popularis შემთხვევაში მარტივია სტრატეგიული საქმის ან შესაბამისი მტკიცებულებების მოძიება.

ასევე, ინსტრუმენტი, კონკრეტული დადებითი სამართლებრივი შედეგის მიღების გარდა, ძალიან დიდ როლს ასრულებს პრობლემური საკითხების ლობირების, ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირებისთვის.

რაც შეეხება კონკრეტულ თემებს, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, პრაქტიკაში იგი ძირითადად გამოიყენება ბოშათა მიმართ სისტემური დისკრიმინაციის შესაჩერებლად, მაგალითად, სკოლაში ბოშა ბავშვების სეგრეგაციის შემთხვევაში (უნგრეთი, სლოვაკეთი). მიჩნეულია, რომ ამ მიმართულებით ამ ქვეყნებში ტრადიციული მეთოდები არ აღმოჩნდა საკმარისი.[98] ასევე, ბოშა ქალების სქესისა და ეთნიკური ნიშნის დისკრიმინაციის შემთხვევებშიც (უნგრეთი, სლოვაკეთი). არის მისი სიძულვილის ენის წინააღმდეგ გამოყენების (ხორვატია, სერბეთი, იტალია), ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სხვადასხვა სახის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი აქტების გასაჩივრების პრაქტიკა (საფრანგეთი). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ ქვეყნებში სადაც actio popularis დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნის დისკრიმინაციის შემთხვევაში (ავსტრია, გერმანია), იგი ნაკლებად გამოიყენება და იქ უპირატესობას სხვა ინსტრუმენტებს ანიჭებენ.

საქმეების ანალიზისას ჩანს, რომ მექანიზმი ხშირ შემთხვევაში გამოიყენება იმ თემებზე სამუშაოდ, რომელიც ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში განსაკუთრებით პრობლემატური, თვალსაჩინო და აქტუალურია. ამას გარდა, მექანიზმს აქვს რესურსი აღასრულოს ანტიდისკრიმინაციული კანონმდელობა და წინა პლანზე წამოწიოს ის თემები, რომელიც არ არის ხილული, თუმცა პრობლემურია. ამ საკითხებზე სტრატეგიული სამართლაწარმოება, მათ შორის actio popularis-ით, აძლიერებს მოწყვლად ჯგუფებს. თემები შეიძლება იყოს, ტრანსგენდერ პირთა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებები ან ნებისმიერი ის მიმართულება, რომელიც უგულებელყოფილია სახელმწიფო ორგანოების მიერ.[99]

Actio popularis გამოყენების წარმატება გარკვეულწილად საკანონმდებლო რეგულირებაზეა დამოკიდებული. როგორც ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობის მიმოხილვისას გამოჩნდა, ზოგიერთ ქვეყანაში (უნგრეთი, სლოვაკეთი, საფრანგეთი), ორგანიზაციებს მოქმედების უფრო ფართო სპექტრი აქვთ, სხვაგან კი უფრო ვიწრო (გერმანია, ავსტრია). ასევე განსხვავებულია სასამართლოების მიდგომაც. არის ქვეყნები, სადაც საკანონმდებლო ბაზის მიუხედავად, სასამართლო სხვადასხვაგვარ ინტეპრეტაციას იძლევა. ამასთან, რა თქმა უნდა, სასამართლო პრაქტიკის შექმნაში დიდი როლი თავად სასარჩელო მოთხოვნის სუბიექტებს მიუძღვით (უნგრეთი). მათი დამსახურებით სასამართლოს დაუდგენია უფლების გაუმჯობესებული და უკეთესი ინტერპრეტაცია. ამას გარდა რიგ ქვეყნებში,

[97] European Anti-discrimination Law Review, the European Network of Legal Experts in the Non-discrimination Field, 2014, issue 19, გვ.33, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3cgWSfU

[98] European Anti-discrimination Law Review, Issue #5, July 2007, the European Network of legal experts in non-discrimination field, გვ. 28, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3sSyRld

[99] European Equality Law Review, 2020/1, European Network of legal experts in gender equality and non-discrimination, გვ. 37 ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2MoHH9L

წარუმატებელი საქმეების მიუხედავად, არასამთავრობო სექტორი მაინც აქტიურად წარადგენს სარჩელებს (სლოვაკეთი).

არსებობს მექანიზმის სუსტი მხარეებიც. კერძოდ ექსპერტები ასეთად მის აღსრულებას და სანქციებს მიიჩნევენ, რომელიც განხილული იქნება ქვემოთ. ამას გარდა, რიგ ქვეყნებში ხანგრძლივი სასამართლო პროცესი დამატებით შეიძლება მოიაზრებოდეს პრობლემურად (სლოვაკეთი).

საქმის იდენტიფიცირებისა და დაგეგმვის სტრატეგია და ტექნიკა

რთულია, შეუძლებელი თუ არა, კონკრეტული დეტალების გარეშე განისაზღვროს კონკრეტული საქმის საწარმოებლად რომელი სამართლებრივი გზაა უმჯობესი. თუმცა არის საკითხები, რომლებზე მსჯელობაც გადაწყვეტილების მიღების პროცესს აადვილებს. მაგალითად, დისკრიმინაციის შემთხვევა არის თუ არა განგრძობითი და განმეორებითი, ასევე რამდენად ეხება იგი პირთა განუსაზღვრელ ან დიდ წრეს, მსგავსი ტიპის საქმე განხილული აქვს თუ არა რომელიმე ორგანოს და როგორ აღსრულდა. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს დროებითი ღონისძიების არსებობაც. [100]

ვფიქრობთ, ასევე საინტერესოა ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ორგანიზაციის European Roma Rights Center (ERRC)-ის წარმომადგენლის რჩევები სტრატეგიული სამართლწარმოების საქმის დაგეგმვის ეტაპებთან დაკავშირებით. რეკომენდაციების შესაბამისად, დასაწყისისთვის მიზანშეწონილია ძირითადი მოწინააღმდეგების იდენტიფიცირება (ისინი ვინც ქმნიან პრობლემას, არღვევენ კანონმდებლობას, არ ახდენენ, ან ხელს უშლიან უფლებების რეალიზებას), ცვლილების, ქმედების იდენტიფიცირება, რასაც მიზნად ისახავს ორგანიზაცია, ასევე სასამართლო სარჩელის სამოტივაციო ნაწილი, არგუმენტაცია, დარღვეული უფლების აღმდგენი ზომები.[101]

სისტემური და მასშტაბური პრობლემის გადასაჭრელად, ზოგჯერ საჭიროა actio popularis სხვა ინსტრუმენტთან, მათ შორის ინდივიდუალურ საქმეთა წარმოებასთან გაერთიანება. მაგალითად, სლოვაკეთის არასამთავრობო ორგანიზაციებმა ფსიქიკური დარღვევის მქონე ბავშვთა უფლებების დასაცავად შემუშავებულ სტრატეგიაში სხვა მეთოდებთან ერთად გაითვალისწინეს actio popularis. განისაზღვრა მისი გამოყენება სკოლაში მათი სეგრეგაციის წინააღმდეგ, სადაც მოპასუხე შეიძლება იყოს როგორც განათლების სამინისტრო, სკოლა, რეგიონული ხელისუფლება, სპეციალური სკოლებისთვის, ან გონივრული მისადაგების ვალდებულების შეუსრულებლობისთვის.[102]

შესაძლო მტკიცებულებები

Actio popularis საქმეებში, სხვა საქმეების მსგავსად, მნიშვნელობა ენიჭება მტკიცებულებებს. პირველ რიგში ორგანიზაციამ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით ლეგიტიმური ინტერესი ან მის საქმიანობასთან შემხებლობის საკითხი კარგად უნდა აჩვენოს.

რაც შეეხება უშუალოდ სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებულ მტკიცებულებებს, ეს შესაძლოა იყოს ორგანიზაციის მიერ დამუშავებული და მოპოვებული სტატისტიკა, ან საჯარო უწყების

---

[100] Use of Actio Popularis in Cases of Discrimination, OSCE, 2017, გვ. 18, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3qQ1WMr

[101] Adam Weiss, European Roma Rights Centre, ხელმისაწვდომია აქ:http://bit.ly/3ok2cSd

[102] National Legal Innovation Strategy, Slovalia, Innovating European Lawyers to Advance the Rights of Children with Disabilities, გვ. 9, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/3cbjfTV.

ოფიციალური მონაცემები,[103] ანგარიშები, მათ შორის თანასწორობის ორგანოს, მოწმეთა ჩვენებები, დოკუმენტირებული შემთხვევები. ამას გარდა, ეფექტურ მტკიცებულებებად მიიჩნევა ამონარიდები მედია საშუალებებიდან ასეთის არსებობის შემთხვევაში.[104]

მონაცემების კარგად გამოყენების მაგალითია უნგრეთში *Hajdúhadház* საქმე, სადაც სასამართლო გადაწყვეტილება იმ სტატისტიკურ მონაცემებს დაეყრდნო, რომელიც ექსპერტმა მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე მოიძია.[105] ანგარიშების, წარმატებულად გამოყენების მაგალითია ასევე *Chance for Children Foundation*-ის საქმე სადაც, განათლების სამინისტროსთან დავაში, სასარჩელო მოთხოვნის დასასაბუთებლად, ამავე უწყების კვლევაზეა მითითება გაკეთებული.[106]

ამავე ორგანიზაციის სხვა საქმეში, ძალიან დიდი როლი ითამაშა ასევე თანასწორობის ორგანოს ანგარიშმა, რომელშიც დოკუმენტირებული იყო საჩივრები და ზოგადი ინფორმაცია კონკრეტულ ქალაქში ბოშა ბავშვთა სეგრეგაციის შესახებ.[107]

ერთ-ერთ მტკიცებულება შეიძლება იყოს ასევე სიტუაციური ტესტის შედეგები, რომელიც კონკრეტულ პირებს ეხებათ, თუმცა ვრცელდება თემის სხვა წარმომადგენლებზეც.

სასარჩელო მოთხოვნები და სანქციები

ევროკავშირის 2000/43 დირექტივის[108] თანახმად სანქციები უნდა იყოს პროპორციული, ეფექტიანი და შემაკავებელი. როგორ უზრუნველყოფს ამას კონკრეტული ქვეყანა, რა თქმა უნდა, მასზეა დამოკიდებული. Actio popularis შემთხვევაში სანქციების ეფექტიანობა კანონმდებლობაზე, აღსრულებასა და მონიტორინგზეა დიდწილად დამოკიდებული. ასევე დამატებით საყურადღებოა შეზღუდული ოდენობის სანქციები, რაც ითვლება ამ მექანიზმის სუსტ მხარედ.[109] ამ კვლევის მიზნებისთვის აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სანქციებზე.

ვინაიდან სანქციები ყველაზე სუსტ მხარედ არის მიჩნეული actio popularis შემთხვევაში, არის მაგალითად რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს ქვეყნებში არსებული სისტემა, განიხილონ არასამთავრობო ორგანიზაციების სამართალწარმოების დაფინანსების/ხარჯების საკითხი და გაითვალისწინონ მექანიზმი მისი ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად. [110]

რაც შეეხება უშუალოდ სანქციების სახეებს, პრაქტიკა აჩვენებს, რომ ძირითადად გამოიყენება აქტის გაუქმება, ქმედების შეწყვეტა ან თავის შეკავება, კონკრეტული გეგმის წარდგენა, ბოდიშის მოხდა,[111]

---

[103] https://www.equalitylaw.eu/downloads/5261-slovakia-country-report-non-discrimination-2020-pdf-1-66-mb გვ 28
[104] Use of Actio Popularis in Cases of Discrimination, OSCE, 2017, გვ. 20, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3qQ1WMr.
[105] Country report non-discrimination 2020, Hungary, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 30, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/39dnkp1.
[106] იქვე 52
[107]V4. Human Rights Review, No.1, Vol. 2, January-March 2020, გვ. 18, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2LYyvJq.
[108] ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3a3JRUl.
[109] European Anti-discrimination Law Review, the European Network of Legal Experts in the Non-discrimination Field, 2014, issue 19, გვ.34, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3cgWSfU.
[110] იქვე გვ. 35
[111] იქვე გვ. 17

გადაწყვეტილების გამოქვეყნება, ჯარიმა. კომპენსაცია გამოიყენება მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში.[112] მხოლოდ ლუქსემბურგის კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმის გადახდას მოსარჩელე ორგანიზაციის სასარგებლოდ.

იშვიათია ***მატერიალური ზიანის ანაზღაურება,*** თუმცა იტალიაში სასამართლომ *Ryanair-ის* საქმეში მატერიალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა მოპასუხეს პროფესიული კავშირის სასარგებლოდ.[113] საინტერესოა ასევე სანქცია, რომლის თანახმადაც იტალიაში იმ ორგანიზაციებს რომლებიც იღებენ საჯარო დაფინანსებას, ან არიან საჯარო ტენდერების გამარჯვებულები, მათ მიერ დისკრიმინაციული აქტის ან ქმედების ჩადენის შემთვევაში შეიძლება შეუწყდეთ დაფინანსება მომდევნო ორი წლის განმავლობაში.[114]

უნგრეთში ერთ-ერთ პოპულარულ სანქციად ითვლება საჯარო ინტერესის ჯარიმა, რომელსაც მოპასუხე იხდის სახელმწიფო ბიუჯეტში. ერთ-ერთ საქმეში, რომელითაც 2018 წლის 12 დეკემბერს, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა TASZ და NEKI-მა მიმართეს სასამართლოს სოციალური საცხოვრისის განადაგურებისა და კონცენტრირებული და შემავიწროებელი რეიდების შესახებ ბოშებით დასახლებულ უბნებში, მიშკოლცის რეგიონალურმა სასამართლომ მუნიციპალიტეტს ბოდიშის მოხდა და საჯარო ინტერესის ჯარიმის გადახდა 29 410 ევრო (HUF 10 მილიონი) დაავალა.[115] სხვა საქმეში იყო მცდელობა საჯარო ინტერესის ჯარიმის გადახდა მომხდარიყო მოსარჩელე ორგანიზაციების სასარგებლოდ, რათა მათ დესეგრეგაციის გეგმის მონიტორინგი განეხორციელებინათ, თუმცა საბოლოო ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, რომ ჯარიმის მიზნობრიობის განსაზღვრა მის კომპეტენციაში არ შედიოდა.[116]

რაც შეეხება დაკისრებული ზომების ბუნებას, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ბევრი მოგებული საქმეა უნგრეთში, წლების განმავლობაში თავად გადაწყვეტილებები იყო საკმაოდ ზოგადი, ადგენდა დარღვევას და მოუწოდებდა მოპასუხეს დისკრიმინაციის ფაქტის შეწყვეტისკენ კონკრეტული ქმედების განსაზღვრის გარეშე. აღნიშნული პრაქტიკა შეცვალა Kaposváriის საქმემ, სადაც სასამართლომ მოპასუხეს დაავალა გამოექვეყნებინა დეტალური დესეგრეგაციის გეგმა ვებგვერდზე და განეხორციელებინა კონკრეტული ქმედება პირველ კლასელებთან დაკავშირებით. სასამართლომ განაცხადა, რომ მას დაღვევის დადგენაზე მეტის გაკეთების უფლებამოსილება აქვს.[117]

აღსრულება და საქმის შედეგების სტრატეგიული გამოყენება

ზოგადად საქმეების ეფექტიანი აღსრულება მოსარჩელისა და თუ საქმის ტიპის მიუხედავად რიგ ქვეყნებში საკმაოდ პრობლემურია და ამ მხრივ არც actio popularis-ით ნაწარმოები საქმეებია

---

[112] Legal Seminar Approaches to Equality and Non-discrimination Legislation inside and outside the EU, DISCUSSION PAPER - WORKSHOP 5 Legal standing of Organisations, 4 October 2011, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/2KTgtHS.
[113] Country report non-discrimination 2020,Italy, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 9, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/2M2kABW
[114] იქვე, გვ. 53.
[115] Country report non-discrimination 2020, Hungary, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 63, ხელმისაწვდომია აქ:https://bit.ly/39dnkp1.
[116] იქვე გვ. 100.
[117] Country report non-discrimination 2019 Hungary, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ. 100, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3t6Y0ZN.

გამონაკლისი. არანაკლებ მნიშვნელოვანია შედეგების სტრატეგიული გამოყენება ცნობიერების ამაღლების, ადვოკატირებისა თუ სხვა, მათ შორის ინდივიდუალური საქმეების მოძიებისთვის.

არის შემთხვევები, როდესაც საქმე პრეცედენტულია, მაგრამ პრაქტიკაში კონკრეტული შედეგები მიიღწევა გადაწყვეტილების ინტენსიური ადვოკატირებით, მათ შორის საკითხზე ცნობიერების ამაღლებით, მედიის ყურადღების მიპყრობით, სადისკუსიო ფორმატებში ჩართვით და ზოგადად გადაწყვეტილების შედეგების ადვოკატირების გზით, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.

ამის კარგი მაგალითია ***Šarišské Michaľany** სკოლის საქმე,* რომელიც Chance for Children-მა აწარმოა სლოვაკეთში.[118] მიუხედავად იმისა, რომ ეს არის უმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, ექსპერტების, ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მოსაზრებით, რეალურად მისი ეფექტიანი აღსრულება არ მომხდარა.[119] არაერთ ძალისხმევას შედეგად მოჰყვა საკანონმდებლო რეფორმა, რომელმაც შესაძლოა გადაჭრას პრობლემა, ასევე ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური ანგარიში ხარჯებთან დაკავშირებით რაც ამ კონკრეტულ საქმეში მნიშვნელოვანი იყო.[120]

გადაწყვეტილების სტრატეგიულად და წარმატებულად გამოყენების მაგალითია ასევე უნგრეთის საქმე რომელშიც როგორც უკვე აღინიშნა 63-მა ყოფილმა მოსწავლემ იმ სკოლებიდან სადაც actio popularis საფუძველზე დადგინდა სეგრეგაცია, წლების შემდეგ მოითხოვეს მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რაც დაკმაყოფილდა.

ამას გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, actio popularis გამოყენება შესაძლოა ინდივიდუალური საქმეების მოსაძიებლად და რა შედეგითაც არ უნდა დასრულდეს საქმე, მსგავსი ტიპის სარჩელის წარდგენა ხელს უწყობს თემის პოპულარიზაციასა და სადისკუსიო ფორმატში ჩართვას.

თანამშრომლობა

Actio popularis გამოყენებისას მნიშვნელოვანია თანამშრომლობის ფორმატების გათვალისწინება როგორც თემთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე თანასწორობის ორგანოსთან.[121] კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობა სხვადასხვა ფორმატში შეიძლება გამოიხატოს, როგორც სარჩელის ერთობლივად შეტანით, ისე სასამართლო მეგობრის ანალოგიით (third person intervention).

ქვემოთ მოყვანილი საქმე ***თანასწორობის ორგანოსთან*** თანამშრომლობის და ერთობლივი ძალისხმევის დადებით შედეგის კარგი მაგალითია. 2009 წელს, უნგრეთში მერმა, გოგონას მკვლელობის ფაქტთან

---

[118] Racial Discrimination in Education and EU Equality Law, European Network of Legal Experts in Gender Equality and Non-discrimination, 2020, გვ. 90, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3pm2oSg

[119] A lesson in Discrimination Segregation of Romani Children in Primary Education in Slovakia, Amnesty International, ERRC, 2017, გვ. 24, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3iN9gWl.

[120] Country report non-discrimination 2020, Slovakia, European network of legal experts in gender equality and non-discrimination, European Commission, გვ 6, ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3ohDIZy.

[121] ეროვნული მექანიზმები/ინსტიტუტები, რომლებიც თავიანთი მანდატით მოწოდებული და უფლებამოსილი არიან წაახალისონ თანასწორობა, შეისწავლონ და მონიტორინგი განახორციელონ ქვეყანაში თანასწორობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის

დაკავშირებით, რამდენიმე განცხადება გააკეთა, სადაც ამბობდა, რომ მისი აზრით ეს ბოშას ჩადენილი იყო. Hungarian Helsinki Committee-მ, actio popoularis- ის გამოყენებით, საქმე თანასწორობის ორგანოში გაასაჩივრა. თანასწორობის ორგანომ დააკმაყოფილა სარჩელი, თუმცა გადაწყვეტილება ყველა ინსტანციის სასამართლომ გააუქმა. თანასწორობის ორგანომ Hungarian Helsinki Committee-სთან ერთად მოითხოვა კურიას მიერ (უზენაესი სასამართლოს უფლებამონაცვლე ორგანო) საქმის გადახედვა.[122]

რაც შეეხება საქმის ირგვლივ ***არასამთავრობო ორგანიზაციების გაერთიანებას,*** კვლევაში მიმოხილულია არაერთი საქმე, სადაც რამდენიმე ორგანიზაციამ ერთობლივად შეიტანა სარჩელი. ორგანიზაციების გაერთიანება კარგია ასევე მათი ლეგიტიმური ინტერესის დასაბუთების კუთხით, რასაც ხშირ შემთხვევაში მოითხოვენ კანონმდებლები.[123]

ამავდროულად თემთან თანამშრომლობა იძლევა პრობლემების უკეთ იდენტიფიცირების შესაძლებლობას, რის შემდეგაც ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიწყონ შესაბამისი ინფორმაციის მოძიება და არგუმენტაციის შემუშავება, რაც სასარჩელო პოზიციას აძლიერებს და ამტკიცებს. როგორც წინა თავებშია აღნიშნული რამდენიმე ქვეყანაში თემის წარმომადგენლებთან ერთობლივი სარჩელის შეტანის შემთხვევებიც არსებობს.

III ძირითადი მიგნებები

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ actio popularis სარგებლობის შესაძლელობა დისკრიმინაციის საქმეებზე ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ამავდროულად, პრაქტიკა არც ისე მდიდარია. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაა, სადაც ეს ინსტრუმენტი აქტიურად გამოიყენება, სხვაგან კი მისი პოტენციალი ჯერ კიდევ გამოსაყენებელია. განსხვავდება საკანონმდებლო რეგულირებაც, დაფარვის სფეროები და სასამართლოების დამოკიდებულებაც. კვლევაში თავმოყრილი ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები, კერძოდ კი:

- Actio popularis არის **მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ინსტრუმენტი** განსაკუთრებით სისტემურ დისკრიმინაციასთან დასაპირისპირებლად;
- Actio popularis **უპირატესობა და ძლიერი მხარეები** მდგომარეობს იმაში, რომ არ არის ინდივიდუალური მსხვერპლის იდენტიფიცირების საჭიროება. მისი მეშვეობით მიღწეული შედეგი ცვლის არა ერთი კონკრეტული პირის ისტორიას, არამედ სისტემური ცვლილებების მომტანი და გამომწვევია. Actio popularis მსხვერპლებს თავს არიდებს სასამართლო პროცესებთან და მედიასთან დაკავშირებული სტრესს და სტიგმას, თუმცა წარმატებული actio popularis შემთხვევებში შესაძლებელია ინდივიდუალურ პირებს გაუჩნდეთ სასამართლოსთვის მიმართვის სურვილი;
- Actio popularisით შესაძლოა გარკვეული ხარჯების, დროისა და ენერგიის **დაზოგვა** (კონკრეტულ პირთა იდენტიფიცირების, კომუნიკაციის, მგზავრობის და ასე შემდეგ, თუმცა Actio popularisიც მოითხოვს ფინანსებს, მტკიცებულებებსა და დროს;

[122] Report on measures to combat discrimination, Country report Hungary 2012, European network of legal experts in the non-discrimination field, European Commission, გვ. 9 ხელმისაწვდომია აქ: https://bit.ly/3oep7hB
[123] Use of Actio Popularis in Cases of Discrimination, OSCE, 2017, გვ. 19, ხელმისაწვდომია აქ: http://bit.ly/3qQ1WMr.

- Actio popularis წარმატებულ საქმეს შეუძლია არამხოლოდ კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მოტანა და სასამართლო პრაქტიკის განვითარება, არამედ იგი მნიშვნელოვანია **ცნობიერების ამაღლებისა და ადვოკატირებისთვისაც;**
- Actio popularis უნდა განვიხილოთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად **სხვა მეთოდებთან** ერთად. მისი ეფექტიანობა იზრდება, როდესაც იგი ემყარება ან გაერთიანებულია სხვადასხვა მეთოდთან მათ შორის ადვოკატირებას, მედიასთან ურთერთობას, ინდივიდუალურ საქმეებსა და ასე შემდეგ;
- Actio popularis **წარმატება დამოკიდებულია** საკანონმდებლო რეგულაციაზე და სასამართლოს მზაობაზე, თუმცა არანაკლები როლი ენიჭება არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მათ აქტიურობას, როგორც სარჩელების შეტანისას, ასევე გადაწყვეტილების აღსრულების მონიტორინგის პროცესში;
- **თანამშრომლობის** სხვადასხვა ფორმატმა შესაძლოა განსაზღვროს ამ მექანიზმის წარმატებულობა. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი სარჩელი იძლევა რესურსების ეფექტიანად გადანაწილების საშუალებას, ასევე ცალკეული კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციის ლეგიტიმური ინტერესის უფრო ძლიერად დასაბუთების შესაძლებლობას. თანამშრომლობის ამ ფორმატის გარდა დაფიქსირდა თემის წარმომადგენლებთან ერთად სარჩელის შეტანის წარმატებული მაგალითებიც;
- მსგავსი ტიპის საქმეებისთვის მტკიცებულებების როლს ასრულებს, შესაბამისად მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპის **ინფორმაცია,** მათ შორის სტატისტიკური, იქნება ის მოპოვებული და დამუშავებული თავად ორგანიზაციის მიერ თუ ოფიციალურად არსებულია. ინფორმაციის კარგი წყაროა ასევე თანასწორობის ორგანოს ანგარიშები;
- სანქციები წარმოადგენს actio popularis სუსტ მხარეს, თუმცა გვხვდება წარმატებული მაგალითებიც.